

796.4/474
კ. 32

ფიზკულტურის ბიბლიოთეკა

ველოსიპედური სპორტი



ს ა ს ე ლ მ შ ი ფ თ
19 გამომცემლობა 52

796.4/979.22

დამტკიცებულ
სსრ კავშირის მინისტრის
არსებული ფიზიკური კულტურის
სპორტის საქმეთა კომიტეტის მიერ
1948 წ. 22 სექტემბერი.

91887 ✓

✓

ვეროსიკაჟური სპორტი

5177 ✓
-2536-

შეჯიბრების წესები
თარგმნა ალ. ძავაიამ

1282 ✓

სახელმწიფო გამომცემლობა
თბილისი
1952





I. შეჯიბრებათა სახეობანი, დისტანციები და სახითი

§ 1. შეჯიბრებათა სახეობანი

1. ველოსიპედური გადარბენები ტარდება:

ა) ჩვეულებრივ (საგზაო) ველოსიპედებზე;

ბ) საგადარბენო ველოსიპედებზე.

2. ველოსიპედური გადარბენების ჩატარება შეიძლება:

ა) გზატკეცილზე, ველოდრომზე (ტრეკზე) და უსწორ-მასწორო შარაგზებზე (ველოკროსები);

ბ) პატრულების გუნდური გადარბენების სახით სროლითა და სხვა დავალებათა შესრულებით (გზატკეცილზე და შარაგზებზე).

3. ველოსიპედური გადარბენები გზატკეცილზე და უსწორ-მასწორო შარაგზებზე (კროსები) შეიძლება ჩატარებულ იქნას:

ა) სიგრძივ დისტანციაზე (იხ. § 2), ორ პუნქტს შორის გაყვანილზე;

ბ) წრიულ დისტანციაზე სტარტითა და ფინიშით ერთ ადგილზე.

ველოკროსების მარშრუტები გადარბენათა იმავე გზით დაბრუნებით აკრძალულია დაჯახების საშიშროების გამო.

4. ველოკროსებს ატარებენ:

ა) ღია მარშრუტით, როდესაც მონაწილეებს დისტანცია ეუწყება შეჯიბრების დაწყებამდე არა უგვიანეს ერთი დღისა;

ბ) დახურული მარშრუტით, რომელიც გამოცხადდება მსაჯთა კოლეგიის მიერ ნახევარი საათით ადრე შეჯიბრების დაწყებამდე.

ამ შემთხვევაში ველოკროსის მონაწილეთა შეკრების ადგილზე გასაცნობად გამოკიდებენ მარშრუტის რუქას, ზომით არა ნაკლებ 75×50 სმ.

§ 2. შეჯიბრებათა დისტანციები

1. გზატკეცილზე ველოგადარბენები შეიძლება ჩატარებულ იქნას ყოველგვარ დისტანციაზე, მათი ერთ ან რამდენიმე დღეში გავლით.

ველოგადარბენების დისტანცია ქალებისათვის არ აღემატება 50 კმ, კაბუტათათვის 25—50 კმ, ქალიშვილებისათვის — 10—20 კმ, მამაკაცებისათვის (20 წლამდე)—100 კმ ერთ დღეში.

მრავალდღიან გადარბენებში ცალკეული ეტაპები, რომელნიც ერთ დღეს ტარდებიან, არ უნდა აღემატებოდნენ 300 კმ.

2. ველოკროსებისა და გასამხედროებული გადარბენების დისტანციები არ უნდა აღემატებოდნენ 100 კმ.

3. ტრეკზე ველოსიპედური გადარბენები ტარდება შემდეგ დისტანციებზე:

ა) შემოვლები სიჩქარეზე:

სვლიდან — 200, 500 და 1.000 მ;

ადგილიდან — 500 მ, 1, 2, 3, 5, 10, 15, 20, 25, 50, 100 კმ და 1 საათ დროზე;

ბ) გადარბენები 500 და 1000 მ;

გ) გადარბენა — „გამოღვენება“ პირადი და გუნდური (არა უმეტეს 4 კაცისა) 4 კმ დისტანციაზე ან წრის განსაზღვრულ რიცხვზე მამაკაცთათვის და 2 კმ ან წრის განსაზღვრულ რიცხვზე ქალებისათვის;

დ) გაწყვილებული გადარბენები 10 — 50 კმ ან 1/2, 1, 2, 3 და 6 საათ დროზე;

ე) გადარბენები ლიდერებს უკან — მოტოციკლისტების მიერ 10—100 კმ და 1 საათ დროზე;

ვ) სპეციალური გუნდური (გამოვარდნით, განდიკაპით — მოგების შესაძლებლობათა გათანაბრებით და სხვა) — 25 კმ;

ზ) გადარბენები ტანდემებით (ორადგილიანი ველოსიპედები) 2 კმ დისტანციაზე.



4. შეჯიბრებებში მოგების შესაძლებლობის გათანაბრებით უპირატესობის ოდენობას აწესებს მსაჯთა კოლეგია გადამრბენთა წინანდელი შედეგების მიხედვით.

5. ყველა გადარბენა მოკლე დისტანციებზე (1 კმ-მდე) ტარდება წინასწარი შემოვლებითა და ფინალებით. ფინალები თავის მხრივ გათამაშდება: ერთი შემოვლით, სამით ან მატჩებით (თითოეული თითოეულთან).

6. ველოსიპედური გადარბენები, რომლებშიც ჩაეწერა ან სტარტზე გამოცხადდა სამზე ნაკლები მონაწილე, არ შედგება და სხვა დროისთვის გადაიდება.

გამონაკლისს წარმოადგენენ პირველობაზე და გარდამავალ პრიზებზე შეჯიბრებები, რომელნიც ერთ მონაწილეს თანაც შეიძლება გათამაშებულ იქნას. ამ მონაწილემ დისტანცია უნდა გაიაროს ამ შემთხვევისათვის დაწესებული დროის მონაკვეთში (ნორმაში). ეს ეხება აგრეთვე გუნდურ გადარბენებსაც, თუ სტარტზე ერთი გუნდი გამოცხადდა. ამ შემთხვევაში ნორმები შემდეგნაირად განისაზღვრება:

ა) გადარბენებში ლიდერებს უკან და გუნდურ გადარბენებში არსებულ რეკორდს (საკაეშიროს, საქალაქოს ან საოლქოს) ემატება დროის 5%, თუკი შემოვლა წარმოებს ტრეკზე, რომელზედაც შესაძლებელია სარეკორდო სიჩქარეები, ანდა ემატება 3% იმ საუკეთესო დროსი, რომელიც ნაჩვენებია მოცემული ტრეკის მოცემულ დისტანციაზე;

ბ) გზატკეცილზე გადარბენებში, გზისა და ატმოსფერული პირობების მიხედვით, საუკეთესო დროს, რომელიც ნაჩვენებია მოცემული გზატკეცილის მოცემულ დისტანციაზე, ემატება ამ დროის 5%-დან 10%-მდე.

თუ მონაწილემ დროის დანიშნული ნორმა ვერ შეასრულა, შეჯიბრება გაუთამაშებლად ითვლება.

§ 3. შეჯიბრებათა ხასიათი

1. თავიანთი ხასიათით შეჯიბრებები შეიძლება იყოს:

- ა) პირადი,
- ბ) გუნდური,
- გ) პირად-გუნდური.

2. პირადს ეკუთვნიან ის შეჯიბრებები, რომელთა შედეგები მხოლოდ მონაწილეებს ჩაეთვლება.

3. გუნდურს ეკუთვნიან ის შეჯიბრებები, რომელთა შედეგები მხოლოდ გუნდს ჩაეთვლება.

4. პირად-გუნდურს ეკუთვნიან ის შეჯიბრებები, რომელთა შედეგები ერთდროულად ჩაეთვლება პირადად მონაწილეებს და მთელ გუნდს მთლიანად.

5. შეჯიბრების ხასიათი და პროგრამა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განისაზღვრება დებულებით შეჯიბრების შესახებ.

II. შეჯიბრებათა მონაწილენი

§ 4. მონაწილეთა ასაკი

1. შეჯიბრებები ტარდება შემდეგი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით:

ჭაბუკები და გოგონები 15—16 წლის;

ჭაბუკები და გოგონები 17—18 წლის;

მამაკაცები და ქალები 19 წლის და უფრო ზევით.

§ 5. თანრიგები

ველოსიპედური გადარბენები ტარდება თანრიგების მიხედვით, თანახმად სრულიად სპორტული კლასიფიკაციისა.

ველოსიპედისტებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ შეჯიბრებებში ტრეკზე და გზატკეცილზე იმ თანრიგებით, რომელნიც მათ მიეკუთვნებოდა აქვთ ველოშეჯიბრებათა მოცემულ სახეობაში.

მაღალი თანრიგის გადამრბენებს უფლება არა აქვთ მონაწილეობა მიიღონ თავიანთ სპეციალობაში მათზე დაბალი თანრიგების შეჯიბრებებში (გზატკეცილი, კროსი, ტრეკი). ოსტატებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ 1-ლ თანრიგელთან ერთად, თუკი მათთვის ცალკე შეჯიბრება არ ტარდება.

უმცროსი თანრიგების სპორტსმენები შეიძლება დაშვებულ იქნან მომდევნო უფროს თანრიგელთა ჯგუფთა შეჯიბრებებში.

§ 6. მონაწილეთა უფლება-მოვალეობანი

1. მონაწილე ვალდებულია იცოდეს შეჯიბრების დებულება და წესები.

2. შეჯიბრების წესების დარღვევის ან არაწესიერი საქციელის შემთხვევაში მონაწილეს გაფრთხილება ეძლევა, ხოლო წესების განმეორებითი დარღვევის დროს მონაწილე შეჯიბრებიდან იხსნება.

3. განსაკუთრებით უხეში დარღვევების შემთხვევაში მონაწილე შეიძლება მოხსნილ იქნას გაფრთხილების გარეშეც.

4. სტარტზე გამოუცხადებლობისათვის მონაწილე შეჯიბრებიდან იხსნება.

5. მონაწილეს უფლება აქვს მსაჯებს მიმართოს გუნდის წარმომადგენლის, გუნდისთვის ან მწვრთნელის მეშვეობით.

6. შეჯიბრების მონაწილე ვალდებულია გამოიჩინოს მაქსიმალური ენერჯია თავისი მიღწევების დასაცავად. თუ მონაწილე განზრახ არ მოიწადინებს იბრძოლოს უკეთესი ადგილისათვის, მაშინ მისი ასეთი მოქმედება განიხილება, როგორც წესების დარღვევა.

§ 7. მონაწილეთა ტანისამოსი, ფეხსაცმელი და მოწყობილობა

მონაწილეს უნდა ჰქონდეს სპორტული ტანისამოსი (მაისური ან ფლანელის პერანგი, ტრუსები ან ტრიკო).

ფლანელის პერანგზე და ტრუსებზე არ შეიძლება არავითარი წარწერა, გარდა საზოგადოების ემბლემისა, ქალაქების, ოლქების (მხარეების) ან რესპუბლიკების სახელწოდებისა.

გადამრბენები, რომლებიც მონაწილეობენ გუნდურ და გაწყვილებულ შემოვლებში, ვალდებული არიან ჰქონდეთ ერთნაირი ფერის ფლანელის პერანგები.

სატრეკო შეჯიბრებებში თითოეული გადამრბენი თავზე ჩაფხუტს იხურავს. გზატკეცილებზე და ველოკროსებში ჩაფხუტი იხმარება მსაჯთა კოლეგიის შეხედულებისდა მიხედვით.

ჩაფხუტების ტიპები:

ა) ჩაფხუტი, რომელიც გაკეთებულია ერთიმეორისა-

გან მაქსიმუმ 45 მმ დაცილებული ზოლებისაგან (საერთა-
შორისო ნიმუში);

ბ) ჩაფხუტი, ყოველგვარი რაოდენობის ზოლებისაგან
გაკეთებული და ყოველგვარი ნიმუშის, დასაშვებია იმ პირო-
ბით, თუ ზოლებს შორის თავის დაუცავი არე 45 მმ არ აღე-
მატება;

გ) თავზე მჭიდროდ მჯდომი მთლიანი ჩაფხუტი მაგარი
მასალისაგან.

ჩაფხუტს უნდა ჰქონდეს ღვედები ნიკაპქვეშ შესაკრავად.

ჩაფხუტის მოხდა ან ღვედების შეხსნა დისტანციის გავ-
ლის დროს აკრძალულია.

ლიდერებს უკან გადამრბენთა შანსების გასათანაბრებლად
წინამძღოლი მოტოციკლისტები ვალდებული არიან ჩაიცვან
შეჯიბრების წესებით დაწესებული ფორმის ქურთუკი, შარ-
ვალი, ფეხსაცმელი, ჩაფხუტი და ხელთათმანები.

ქურთუკი ყველა დილზე უნდა იყოს შებნეული; მსვლელობის
დროს მისი შეხსნა აკრძალულია. წინამძღოლებს შეუძლიათ
ქურთუკის ქვეშ ყოველგვარი ტანისამოსის ჩაცმა იმ პირობით,
რომ ქურთუკის შებნევა შეიძლებოდეს.

წინამძღოლი ველოსიპედისტები ჩაცმული უნდა იყვნენ
სპორტულ კოსტიუმში: ფლანელის პერანგსა და ტრუსებში.

შეჯიბრების ყველა მონაწილეს ზურგზე მიკერებული უნ-
და ჰქონდეს 20—25 სმ სიგრძისა და 18—20 სმ სიგანის ნო-
მერი. ციფრები სიმაღლით არა ნაკლებ 15 სმ და სიგანით
5—7 სმ, დაწერილი უნდა იყოს წვიმის გამძლე საღებავით.

ნომერი მიკერებული უნდა იყოს წელს ზევით ზურგის
მარცხენა მხარეზე. აკრძალულია ზურგის ნომრების რაიმე
ფერებით დაფარვა ტალახის ან წვიმისაგან დასაცავად.

მონაწილის ნომერი კარგად უნდა ჩანდეს, რომ მისი და-
ნახვა შეიძლებოდეს გადარბენის ყოველ მომენტში.

მრავალდღიან გადარბენებში ველოსიპედისტებისათვის
ნომერი სავალდებულო არ არის. დაწესდება მაშინ, თუ ეს
გათვალისწინებულია დებულებით გადარბენის შესახებ.

ველოსიპედებისათვის ნომრები უნდა იყოს ზომით 15×10
სმ მახვილი კუთხეების გარეშე; ნომერს ამაგრებენ ველოსი-
პედის ჩარჩოს ჰორიზონტალურ მილზე.



გადამრბენი, რომელიც ფინიშზე საველოსიპედო ნომრის გარეშე გამოცხადდება, შეიძლება გამორიცხულ იქნას შეჯიბრების მონაწილეთა რიცხვიდან.

§ 8. მოთხოვნები მონაწილეების მიმართ და დანაწილება შემოვლების მიხედვით

1. გადამრბენი (დამოუკიდებლად წოდებისა და თანრიგისა), რომელიც არ დაამთავრებს დისტანციას სერიაში ან ნახევარ ფინალში, არ დაიშვება მონაწილეობის მისაღებად მიმდინარე სახის გადარბენის გათამაშებაში.

2. მსაჯთა კოლეგია არ დაუშვებს ველოგადარბენებზე მოუზნადებელ მონაწილეს, ასევე არ დაიშვება ის მონაწილე, რომელსაც ველოსიპედი წესიერ მდგომარეობაში არ აქვს.

3. ლიდერთა გადარბენაში მონაწილეობენ მხოლოდ ის მოტოციკლისტი-ლიდერები, რომელნიც ტრეკზე სისტემატურად აწარმოებენ ველოსიპედისტთა წვრთნას.

4. ყოველ ლიდერ-მოტოციკლისტს ავტო-ინსპექციიდან უნდა ჰქონდეს მოწმობა მოტოციკლის მართვის უფლების შესახებ.

5. თითოეულ ველოგადამრბენს ერთ შეჯიბრებაში შეუძლია ჰყავდეს მხოლოდ ერთი ლიდერი. ეს წესი არ ვრცელდება მოტორის გადაცემაზე მეორე ლიდერის მიერ შეჯიბრების დროს ავარიის შემთხვევაში.

6. თუ მოკლე დისტანციებზე გადარბენების მონაწილე ველოსიპედისტები დიდი რაოდენობით არიან, მაშინ ისინი მიდიან თანმიმდევრობით წინასწარ შემოვლებში, სერიებში, ნახევარფინალებსა და ფინალში. შემოვლებში მონაწილეთა რაოდენობას განსაზღვრავს მსაჯთა კოლეგია იმისდა მიხედვით, თუ რა სიგანისაა გზა ტრეკზე, რა დაქანებისაა ვირაჟები და რა კვალიფიკაციისაა მონაწილენი. მაგრამ ეს რაოდენობა წინასწარ შემოვლებსა და სერიებში არ უნდა აღემატებოდეს — 10-ს, ნახევარფინალებში — 5-ს და ფინალში — 4-ს.

7. მოკლე დისტანციებზე შემოვლებში მონაწილეთა დაყოფა ხდება მათი სიძლიერის მიხედვით.

8. ლიდერთა გადარბენების მონაწილეთათვის წინასწარ და სერიულ შემოვლებში, სტარტზე ადგილების მიჩენა



დროის მიხედვით ხდება, ხოლო ნახევარფინალებსა და ფინალში კი — სერიაში ნაჩვენები დროის შესაბამისად, ამასთანავე უკეთესი დროის მომცემი მონაწილე პირველი იწყებს სტარტს, უტუდესი დროის მომცემი კი — ბოლოს.

ტრეკზე შეჯიბრება (გადარბენები მოკლე დისტანციებზე, გადარბენა — „გამოდევნება“, გადარბენა ლიდერებს უკან) შეიძლება ჩავატაროთ რამდენიმე დღეს; პირველ დღეს ტარდება მხოლოდ სერიები, მეორე დღეს — ნახევარფინალები, მესამე დღეს — ფინალი. ლიდერს უკან გადარბენაში დასაშვებია, პირობების გათვალისწინებით, სხვადასხვა ტრეკებზე ცალკეული სერიების რამდენიმე დღის განმავლობაში ჩატარება.

9. სსრ კავშირის პირველობაზე შეჯიბრების დროს მსაჯთა კოლეგიას უფლება ენიჭება მეოთხედ-ფინალებიდან კენჭისყრით დაადგინოს, პირველ მატჩში პირველი ვინ წავაზარის მიცემამდე, რაც აღნიშნავს იმას, რომ ფინიშამდე ერთი წრეა დარჩენილი. მეორე მატჩში პირველად უნდა წავიდეს ის გადამრბენი, რომელიც პირველ მატჩში მეორედ მიდიოდა, და თუ იქნება მესამე მატჩი, მაშინ მეწინავე ისევ კენჭისყრით აირჩევა.

§ 9. წარმომადგენლები და გუნდისთავეები

1. შეჯიბრებაში მონაწილე ყოველ ორგანიზაციას, თუ ეს გათვალისწინებულია წესდებით, უნდა ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი, რომელიც იქნება გუნდის ხელმძღვანელი და შუამავალიც მსაჯთა კოლეგიასა და მოცემული ორგანიზაციის მიერ წამოყენებულ მონაწილეებს შორის.

2. წარმომადგენელი პასუხისმგებელია მონაწილეთა დისტანციებისათვის და უზრუნველყოფს შეჯიბრზე მათ დროულ გამოცხადებას.

3. წარმომადგენელი მონაწილეობს კენჭისყრაში მსაჯთა კოლეგიის თათბირებზე, თუკი თათბირი წარმომადგენლის თანდასწრებით ტარდება.

4. წარმომადგენელს ეკრძალება შეჯიბრების ჩამტარებელ მსაჯთა კოლეგიის განკარგულებებში ჩარევა.

წარმომადგენლის ყველა პროტესტი წერილობითი ფორმით გადაეცემა მსაჯთა კოლეგიას.

5. შეჯიბრების დროს წარმომადგენელი უნდა იმყოფებოდეს წარმომადგენელთათვის სპეციალურად განკუთვნილ ადგილზე.

6. თუ გუნდს არა ჰქავს სპეციალური წარმომადგენელი, მაშინ მის მოვალეობას ასრულებს გუნდისთავი, რომელიც ინიშნება გუნდის შემადგენლობიდან.

III. მსაჯთა კოლეგია

§ 10. მსაჯთა კოლეგიის შემადგენლობა

1. მსაჯთა კოლეგიას ნიშნავს შეჯიბრების ჩამტარებელი ორგანიზაცია, ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა სათანადო კომიტეტთან შეთანხმებით.

2. მსაჯთა კოლეგია შედგება: მთავარი მსაჯის, მთავარი მსაჯის მოადგილეების, მსაჯები-ფინიშზე (1—3), მდივნის, სტარტიორისა და სტარტიორის თანაშემწის, წამმზომლების (3—6),—მათ შორის ერთი უფროსია, წრეების დამთვლელი მსაჯების, დისტანციის უფროსის, კონტროლიორების, მოსახვევებზე—მსაჯების, მსაჯი-ინფორმატორის, მსაჯთარეშისა და ტექნიკური კომისიისაგან.

მსაჯთა კოლეგიის განკარგულებაში აუცილებლად გამოიყოფა ექიმი და შეჯიბრების კომენდანტი.

3. მსაჯთა კოლეგია (გარდა მსაჯები-ფინიშზე) შემდეგნაირად განლაგდება:

ა) ტრეკზე, მისი ფინიშის ხაზის შიგნით, სადაც მოეწყობა სპეციალური ადგილი;

ბ) გზატკეცილზე — მოფინიშე გადამრბენების მარჯვენა მხარეზე.

4. ტრეკზე შეჯიბრების დროს, ფინიშის მსაჯებისათვის გამოიყოფა ადგილი ფინიშის ლენტთან, ტრეკის შიგნითა მხარეზე. გზატკეცილზე კი — მოფინიშე გადამრბენების მარცხენა მხარეზე.

§ 11. მთავარი მსაჯი

1. მთავარი მსაჯი ხელმძღვანელობს მთელ შეჯიბრებას, ნიშნავს მსაჯებს შეჯიბრებათა პროგრამის ცალკეული სახეების მიხედვით.

2. მთავარ მსაჯს უფლება აქვს:

ა) აკრძალოს ან გადასდოს შეჯიბრების ჩატარება, თუკი შეჯიბრების ჩატარების დასაწყისისათვის უფარგისი აღმოჩნდება შეჯიბრების ადგილები, მოწყობილობანი ან ინვენტარი;

ბ) შეწყვიტოს შეჯიბრების შემდგომი ჩატარება ჩამობნელების, ამინდის მკვეთრად გაუარესების, წვიმისა და სხვ. გამო, რასაც შეუძლია საშიშროება შეუქმნას მონაწილეებს, ან კიდევ გამოაცხადოს დროებითი შესვენება, თუ რაიმე მიზეზის გამო შეჯიბრების ჩასატარებელი ადგილები უფარგის მდგომარეობაში მოვიდა, აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, თუ მაცურებლები თავიანთი საქციელით ხელს უშლიან შეჯიბრების ნორმალურ მსვლელობას;

გ) შეიტანოს ცვლილებები შეჯიბრების პროგრამასა და განრიგში, თუ მათი ჩატარების პირობების მიხედვით წარმოიშობა ამის აუცილებელი საჭიროება;

შენიშვნა: მთავარ მსაჯს უფლება არა აქვს წესდებით დაწესებული შეჯიბრების გათამაშების პირობები გააუქმოს.

დ) აწარმოოს მსაჯების გადაადგილება შეჯიბრების მსვლელობის მიხედვით;

ე) გადააყენოს მსაჯობისაგან ის მსაჯები, რომელნიც ჩაიდენენ უხეშ შეცდომებს ან ვერ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს;

ვ) არ დაუშვას შეჯიბრებაზე ის მონაწილეები, რომელნიც თავიანთი ასაკით, სპორტული თანრიგით, ჩაცმულობითა და მომზადების დონით არ შეესაბამებიან მოცემული შეჯიბრების შესახებ არსებული წესების ან წესდებულების მოთხოვნილებებს;

ზ) მოხსნას შეჯიბრებებში შემდგომი მონაწილეობისაგან ის მონაწილენი, რომელნიც ჩაიდენენ უხეშობას ან სხვა

ისეთ საქციელს, რაც შეუთავსებელია საბჭოთა სპორტმე-
ნისადმი წაყენებული ეთიკურ მოთხოვნებებთან;

თ) გააუქმოს ცალკეული მსაჯების გადაწყვეტილებანი, —
თუ იგი პირველად დარწმუნდა ამა თუ იმ მსაჯის მიერ გა-
მოტანილი გადაწყვეტილების არა სისწორეში, — და გამოი-
ტანოს თავისი გადაწყვეტილება.

3. მთავარ მსაჯს უფლება აქვს თვითონ გამოიტანოს სა-
ბოლო გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში, როდესაც გამოც-
ხადებულ შედეგებს არ ეთანხმება მსაჯთა უმრავლესობა.

4. მთავარი მსაჯი ვალდებულია გამოიტანოს გადაწყვე-
ტილება შემოსულ პროტესტებზე არა უგვიანეს ერთი საათი-
სა ასეთების შემოსვლიდან; ცალკეულ შემთხვევაში კი იქ,
სადაც საჭიროა პროტესტებში მოყვანილი ფაქტების შემოწ-
მება, პროტესტის შეტანის დღესვე.

5. მთავარი მსაჯი ვალდებულია შეჯიბრების დამთავრე-
ბის შემდეგ, არა უგვიანეს სამი დღისა, ჩააბაროს ანგარიში
და ოქმები მოცემული შეჯიბრების ჩამტარებელ ორგანიზა-
ციეს.

§ 12. მთავარი მსაჯის მოადგილე

1. მთავარი მსაჯის მოადგილე მუშაობს მთავარი მსაჯის
მითითებით და მისი არ ყოფნის შემთხვევაში ასრულებს მთა-
ვარი მსაჯის მოვალეობას.

2. მთავარი მსაჯის მოადგილე თვალყურს ადევნებს ტრე-
კის მომზადებას, მის სწორად აზომვას, ათვალეირებს და
არკვევს დისტანციის ვარგისობას გზატკეცილზე, ამოწმებს
სამსაჯო ინვენტარის არსებობას და სხვ.

§ 13. მსაჯება ფინიშზე

მსაჯები ფინიშზე არკვევენ გადამრბენთა თანმიმდევრო-
ბით ფინიშზე მისვლას.

§ 14. მდივანი

მდივანი აწარმოებს შეჯიბრების ოქმს, მსაჯთა კოლეგიის
სხდომების ოქმებს, აფორმებს შეჯიბრების მსვლელობის მთელ

ლოკუმენტაციას, თვალყურს ადევნებს მსაჯთა კოლეგიის და-
დგენილებების შესრულებას.

ცნობებს გადამრბენების მიერ მიღწეული შედეგების შე-
სახებ მდივანი ლებულობს უფროსი წამმზომელისაგან.

§ 15. სტარტიორი და სტარტიორის თანაშემწე

1. სტარტიორი ვალდებულია:

ა) კენჭისყრის საფუძველზე განლაგოს სტარტზე შეჯიბ-
რების მონაწილენი;

ბ) სტარტის შესახებ ალამით გააფრთხილოს მსაჯები,
წამმზომლები და მონაწილენი;

გ) გასცეს სტარტი;

დ) უკან გამოაბრუნოს ის მონაწილენი, რომელნიც არა-
სწორად აიღებენ სტარტს;

ე) თვალყური ადევნოს, რომ შეჯიბრებებში ტრეკზე ან
გზატკეცილზე (მთავარი მსაჯის მითითებით) მონაწილეებს
ჰქონდეთ ჩაფხუტები.

2. სტარტის მომენტში სტარტიორი ყველა საღაო საკით-
ხებს დამოუკიდებლად წყვეტს. მისი გადაწყვეტილებანი
სტარტიდან გაშვების შესახებ — საბოლოოა.

ს ტ ა რ ტ ი ო რ ი ს თ ა ნ ა შ ე მ წ ე

სტარტერის თანაშემწე ვალდებულია:

ა) თვალყური ადევნოს, რომ მონაწილენი მზად იყვნენ
თავიანთი შემოვლებისათვის, და მონაწილეებს სტარტზე გა-
მოუძახოს.

ბ) სტარტზე აწარმოოს ველოსიპედების ტექნიკური შე-
მოწმება.

§ 16. უფროსი მსაჯი წამმზომელი

უფროსი მსაჯი-წამმზომელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს შეჯიბრება წამმზომების საკმაო რაო-
დენობით;

ბ) შეამოწმოს წამმზომები შეჯიბრების დაწყების წინ;

გ) გაანაწილოს წამმზომები მონაწილეების მისაღებად (არა ნაკლებ სამისა პირველისათვის);

დ) შეჯიბრების დროს თვალყური ადევნოს წამმზომებს და პირადად შეამოწმოს თითოეული წამმზომის მონაცემები;

ე) აცნობოს მდივანს წამმზომის მიერ ნაჩვენები დრო და თვალყური ადევნოს ოქმში შედეგების სწორად შეტანას.

რეკორდების განმსაზღვრელ წამმზომებს შეიძლება ჰქონდეთ ზუსტი ღროისაგან გადახრა არა უმეტესი 1 სეკუნდის საათში.

§ 17. მსაჯი - წამმზომლები

მსაჯი-წამმზომლები ვალდებული არიან წამმზომები აუშვან ზუსტად სტარტიორის სიგნალზე და გააჩერონ ველოსიპედის წინა თვალის მიერ ფინიშის ხაზის გადალახვის მომენტში.

ყოველი შემოვლის შემდეგ წამმზომებს უჩვენებენ უფროს წამმზომელს შედეგების შესამოწმებლად.

თითოეული წამმზომის მიერ ნაჩვენები დრო ოქმში შეაქვთ წამმზომლის ინიციალების აღნიშვნით.

ფიქსირებული შედეგები არ შეიძლება კამათის საგნად გახდეს.

წამმზომლებს უფლება აქვთ „0“-ზე დააყენონ წამმზომის ისრები მხოლოდ უფროსი წამმზომელის ნებართვით.

ყოველ წამმზომელს შეუძლია ორი წამმზომით ისარგებლოს.

§ 18. მსაჯი-წრეების აღმრიცხველი

მსაჯი-წრეების აღმრიცხველი ტრეკზე შეჯიბრების დროს და კროსზე ითვლის განვლილ წრეებს, და აუწყებს მონაწილეებსა და მსაჯს ფინიშზე დარჩენილ წრეთა რაოდენობას.

§ 19. დისტანციის უფროსი

1. დისტანციის უფროსი ვალდებულია შეარჩიოს დისტანციები (გზატყეცილი, კროსი), გამიჯნოს, გაზომოს და მოამზადოს წესიერი გავლისათვის.

2. დისტანციის უფროსი დისტანციაზე განლაგებს კონტროლიორებს და მათ დისტანციიდან ხსნის შეჯიბრების დამთავრების შემდეგ.

3. დისტანციის უფროსი პასუხისმგებელია სახიფათო ადგილებზე გამაფრთხილებელი ნიშნების უქონლობისათვის.

§ 20. მსაჯი - კონტროლიორები

1. კონტროლიორი ვალდებულია:

ა) თვალყური ადევნოს მონაწილეთა მიერ შეჯიბრების წესების შესრულებას საკონტროლო პუნქტზე;

ბ) აწარმოოს საკონტროლო უწყისი მონაწილეთა მიერ მოცემული საკონტროლო პუნქტის გავლის შესახებ;

გ) გააკეთოს აღნიშვნები მონაწილეთა საგზურებში, თუ ეს გათვალისწინებულია შეჯიბრების დებულებით.

2. შეჯიბრებებში გზატკეცილზე და ველოკროსებში ინიშნებიან აშკარა და ფარული კონტროლიორები, რომელნიც თვალყურს ადევნებენ მსვლელობის დროს მონაწილეთა მიერ შეჯიბრების წესების შესრულებას.

3. კონტროლიორი ვალდებულია მონაწილეების მხრივ წესების დარღვევის ყოველი შემთხვევა აცნობოს მთავარ მსაჯს და გააფრთხილოს წესების დამრღვევი მონაწილე.

4. მთავარი მსაჯის მოთხოვნით კონტროლიორები და მსაჯები-მოსახვევში (როგორც გზატკეცილზე, ისე ტრეკზე) შერილობით აცნობებენ მათ მიერ შემჩნეულ დარღვევათა შესახებ.

§ 21. მსაჯები-მოსახვევებში

1. მსაჯები-მოსახვევებში ტრეკზე (ყოველ მოსახვევში ორ-ორი) თვალყურს ადევნებენ გადამრბენების მიერ ტრეკზე სვლის წესების დაცვას და აცნობებენ მთავარ მსაჯს ყოველი დარღვევის შესახებ.

2. მსაჯები-მოსახვევებში გზატკეცილზე შეჯიბრების დროს ვალდებულნი არიან:

ა) მკაფიოდ აღნიშნონ მოსახვევი ადგილი, თვალსაჩინო ადგილზე თეთრი წრიანი პლაკატის ან $1 \times 0,40$ მ ზომის ფანერის ფარის დაყენებით, წარწერით: „მოსახვევი“.

ბ) აღნიშნონ დრო, ნომერი და გვარი მოსახვევზე მი-
სული მონაწილისა, შეიტანონ აღნიშვნები საგზაო ფურც-
ლებში, თუ გათვალისწინებულია დებულებით გადარბენის
შესახებ.

§ 22. მსაჯი-ინფორმატორი

1. მსაჯი-ინფორმატორი შეჯიბრების მომზადების, მიმ-
დინარეობისა და შედეგების შესახებ ინფორმაციას უზრუნ-
ველყოფს პრესის, რადიოსი, სპეციალური განცხადების,
პროგრამების, გამარჯვებულთა სიებისა და სხვა საშუალე-
ბით.

2. ინფორმაციის მიცემა შეიძლება მხოლოდ მთავარი
მსაჯის ნებართვით.

§ 23. მსაჯფარეში

მსაჯფარეში ვალდებულია:

ა) შეჯიბრების დაწყების წინ შეამოწმოს შეჯიბრების
მონაწილეების გამოცხადება და მათი ტანისამოსის შესაბა-
მისობა წინამდებარე წესების მოთხოვნილებებთან;

ბ) მონაწილენი გააფრთხილოს სტარტზე გამოსვლის
შესახებ;

გ) აცნობოს მთავარ მსაჯს გამოუცხადებლობის ან
უარისმთქმელი მონაწილეების შესახებ.

§ 24. ტექნიკური კომისია

მსაჯთა კოლეგია ყოველ შეჯიბრებაში გამოყოფს ტექნი-
კურ კომისიას, რომელიც ვალდებულია:

ა) სტარტის დაწყებამდე მოახდინოს ველოსიპედების
ტექნიკური დათვალიერება;

ბ) შეჯიბრების განმავლობაში თვალყური ადევნოს ინ-
ვენტარის ტექნიკურ მდგომარეობას.

§ 25. კომენდანტი

გზატკეცილზე შეჯიბრებებში დიდ დისტანციებზე გზის
ყოველ საკონტროლო პუნქტს ენიშნება კომენდანტი, რომე-
ლიც ვალდებულია:

• ველოსიპედური სპორტი





ა) მოაწყოს პუნქტი;

ბ) მიიღოს ზომები, რათა გადამრბენებმა უშიშრად გაიარონ, განსაკუთრებით იქ, სადაც დისტანცია გადის დასახლებულ პუნქტებზე.

§ 26. ექიმი და სამედიცინო მომსახურება

1. ექიმის ნებართვა შეჯიბრებებზე დაშვების შესახებ სავალდებულოა თითოეული მონაწილისათვის.

2. შეჯიბრების მომწყობი ორგანიზაცია უზრუნველყოფს საჭირო სამედიცინო მომსახურებას, რის გარეშეც მთავარ მსაჯს შეჯიბრების ჩატარების უფლება არა აქვს.

3. ექიმი ვალდებულია:

ა) შეჯიბრებების დაწყების წინ შეამოწმოს არის თუ არა განცხადებაში ექიმის ნებართვა შეჯიბრებებზე მონაწილეთა დაშვების შესახებ;

ბ) მრავალდღიანი გადარბენების დროს თვალყური ადევნოს სანიტარულ პირობებს;

გ) მოაწყოს სამედიცინო დახმარება გზაში;

დ) შეამოწმოს პროდუქტების ხარისხი საკვებ პუნქტებზე და თვალყური ადევნოს მონაწილეთა გზაში კვებას;

ე) გამოარკვიოს მონაწილეთა მიერ შეჯიბრების გაგრძელების შესაძლებლობა მათი დაშავების ან ავად გახდომის დროს;

ვ) უხელმძღვანელოს შებრების მომსახურებისა და დაშავებულ მონაწილეთათვის პირველი დახმარების აღმოსაჩენად მოწვეულ სამედიცინო მუშაობის საქმიანობას.

IV. შეჯიბრებათა წესები ტრეკზე და ზეატმოსფეროში.

შეჯიბრებათა ტრეკზე

§ 27. სტარტი

1. მონაწილენი სტარტზე ცხადდებიან სტარტიორის წინასწარ სიგნალზე, რომელიც მიეცემა 3 წუთით ადრე შეჯიბრების დაწყებამდე.

2. სტარტზე დაგვიანებით გამოცხადება განიხილება როგორც გადამრბენის მიერ შეჯიბრებაში მონაწილეობის უარის თქმა.

3. სტარტი ეძლევა ბრძანებით „ყურადღება“, „იარ“. სიტყვებს — „ყურადღება“ და „იარ“ — შორის შუალედი უნდა იყოს არა უმეტესი 1 წამისა. ბრძანება „იარ“ ზუსტად უნდა ემთხვეოდეს გასროლას ან ალმის ძირს დაშვებას.

4. სტარტიორის სიგნალის შემდეგ არ მიიღება მონაწილეთა არავეითარი პროტესტი მოუმზადებლობის (მზად არ ყოფნის) შესახებ.

5. სტარტის წესები ჯგუფურ შემოვლებში:

ა) შეჯიბრებებში ადგილიდან სტარტზე გადამრბენის ადგილი კენჭისყრით განისაზღვრება; დაბალი ნომერი დადგება მარცხენა (შიგნითა) მხარეზე პირველ და მეორე ხაზებს შორის, დანარჩენები უსწორდებიან მანქანის (ველოსიპედის) წინა თვალს;

ბ) მონაწილეთა სიმრავლის შემთხვევაში მაღალი ნომრები შეიძლება დაყენებულ იქნას მეორე, მესამე და ა. შ. მწკრივებში; ამ შემთხვევაში მანძილი მწკრივებს შორის უნდა იყოს არა ნაკლებ 1 მეტრისა;

ი) ადგილიდან ჯგუფური სტარტის დროს, რომელშიც მონაწილეობს არა უმეტესი 30 ველოსიპედისტი, თითოეულ მონაწილეზე დაიშვება თანაშემწე, რომელიც გადამრბენს ველოსიპედზე ამაგრებს სტარტიორის სიგნალამდე. გადამრბენთა გაშვების შემდეგ თანაშემწეები ადგილზე რჩებიან და არ იძვრიან მანამდე, ვიდრე ყველა გადამრბენი სტარტიდან არ გავა.

ღ) ადგილიდან ჯგუფურ სტარტში, რომელშიც 30 და მეტი გადამრბენი მონაწილეობს, თანაშემწეები არ დაიშვებიან. ყველა მონაწილე ველოსიპედზე ჯდება სტარტიდან 100—200 მ დაშორებით, გასწორდებიან მწკრივებში და ნელი სვლით (5 კმ საათში) სტარტის ხაზს გადაკვეთენ;

ე) წყვილ-წყვილად გადარბენის სტარტი შეუძლიათ მიიღონ როგორც ორივე მონაწილემ, ისე ერთმაც წყვილიდან.

6. სტარტის წესები სისწაფეზე შემოვლის დროს:

ა) სტარტი ადგილიდან: ველოსიპედს, მასზე მჯდომი გადამრბენით, აყენებენ პირველ და მეორე საკონტროლო ხაზებს შორის და იგი თანაშემწეს უჭირავს ჩარჩოს თავითა და საჯდომს ქვედა კაკვით. სტარტზე დაუშვებელია თანაშემწის ან გადამრბენის მიერ ველოსიპედის წინ და უკან შექანება. იმისათვის, რომ სტარტი სწორი იყოს, საჭიროა სტარტის დროს დახმარება ხელების ბიძგით განხორციელდეს. ბიძგის შემდეგ თანაშემწე არ უნდა გავიდეს სტარტის ხაზს გარეთ.

თანაშემწეს ირჩევს გადამრბენი. თანაშემწის მიერ სტარტის ზემოთ აღნიშნული პირობების დარღვევის შემთხვევაში მონაწილე დისტანციიდან იხსნება.

ბ) სტარტი სვლიდან: ველოსიპედისტს შეუძლია გაქანების აღება ტრეკის ყოველ პუნქტიდან, ოღონდ მეორე საკონტროლო ხაზს გარეთ არ უნდა გამოვიდეს. გადამრბენს უფლება არა აქვს გაქანების მიზნით ისარგებლოს ლიდერით (მოტოციკლისტით, ველოსიპედისტით). სტარტი ეძლევა ველოსიპედისტის წინა თვალის მიხედვით, მისი სტარტის ხაზის გადაკვეთის მომენტში. სტარტერის მიერ აღმის მკვეთრად ძირს დაშვება წარმოებს მაშინ, როცა სტარტი გასროლით არ ტარდება.

7. სალიდერო შემოვლების მონაწილეთა გაშვების წესი:

საერთო სტარტი: ა) ველოსიპედისტები კენჭისყრის საფუძველზე ერთიმეორის უკან დგებიან;

ბ) ლიდერები მიემართებიან წრეზე, უსწორდებიან რა მოტოციკლის წინა თვალს, რომელიც წარბაზე მიემართება და რომელიც განკუთვნილია სტარტის ყველაზე ბოლოს ამოღებისათვის; როდესაც ლიდერები 75 — 100 მეტრზე მიუახლოვდებიან ველოსიპედისტებს, სტარტიორი მოტოციკლისტებს აძლევს სტარტს, რომლის შემდეგ ლიდერებს უფლება აქვთ მიაწოდონ მოტოციკლები სტარტის ამღებ გადამრბენებს;

გ) ველოსიპედისტებს სტარტი (წამმზომების აშვება) მაშინ ეძლევათ, როდესაც ლიდერები მათ 50—60 მ მანძილზე მიუახლოვდებიან;

დ) ველოსიპედისტს, რომელიც მიიღებს სტარტს, უფლება არა აქვს პირველ წრეზე დაშორდეს წარბას, მანამდე ვიდრე მისი ლიდერი მოტოციკლს მას არ მიაწოდებს.

ე) პირველი წრის მანძილზე ველოსიპედისტს უფლება აქვს გაუსწოროს მის წინ მიმავალ მოწინააღმდეგეს, ოღონდ თავისი ლიდერის უკან უნდა იმყოფებოდეს არა უშორეს 1 მეტრისა;

ვ) აკრძალულია სარგებლობა მოწინააღმდეგის ლიდერით (მისი თანხმობითაც კი) დისტანციის თუნდაც მოკლე მონაკვეთზე;

ზ) ველოსიპედისტს, რომელსაც პირველი წრის მანძილზე რაიმე მიზეზით არ მიეცემა მოტოციკლი, უფლება აქვს მოწინააღმდეგე-ველოსიპედისტის უკან იაროს;

თ) თუ წინ მიმავალი მონაწილე რაიმე მიზეზით ტრეკიდან წრის შიგნით მოექცა, მაშინ მის უკან მიმავალ ყველა მონაწილეს უფლება აქვს გაუსწოროს მას.

გ ა ნ ც ა ლ კ ე ვ ე ბ უ ლ ი ს ტ ა რ ტ ი : ა) ველოსიპედისტები დგებიან ტრეკის გზის მოპირდაპირე მხარეებზე;

ბ) ლიდერები მიემართებიან წრეზე, გადამრბენთათვის დაწესებული ინტერვალის დაცვით; ველოსიპედისტებთან 75—100 მეტრზე მიახლოებისას ეძლევა სტარტი, რის შემდეგ ლიდერებს უფლება აქვთ მიაწოდონ მოტოციკლები სტარტის ამღებ გადამრბენებს;

გ) სტარტი ველოსიპედისტებს (წამმზომების აშვება) ეძლევათ მაშინ, როდესაც ლიდერები მათ 50—60 მ მიუახლოვდებიან.

8. როდესაც ველოსიპედისტები შეჯიბრებას ტრეკის სხვადასხვა ადგილიდან იწყებენ, სტარტიორი ბრძანების მიცემის დროს წრის ცენტრში უნდა იმყოფებოდეს.

საერთო სტარტით სალიდერო შემოვლების დროს სტარტიორი უნდა იმყოფებოდეს სტარტის ამღები მეწინავე გადამრბენის წინ 2—3 მ მანძილზე.

9. დროის შუალედი მოკლე დისტანციებზე შემოვლების დროს უნდა იყოს არა ნაკლებ 20 წუთისა. ამდენივე შესვენებით უნდა იქნან უზრუნველყოფილი სამატრო შემოვლების მონაწილენიც, რამდენადაც ამ შემოვლებში ერთი და იგივე გადამრბენები მონაწილეობენ.

10. მონაწილეების მიერ სტარტის წესების დარღვევის შემთხვევაში, სტარტიორი იძლევა სიგნალს ალმით და ბრძანებით „უკან“ და ხელმეორე გასროლით. შეჯიბრების მონაწილენი ვალდებული არიან უკან დაბრუნდნენ და სტარტი მეორდება.

11. სტარტის ჩაშლისათვის:

ა) სალიდერო გადარბენებში, განდიკაპებში და ინდივიდუალურ მატჩში — გამოდევნებაში შემოვლა არ შეწყდება, მაგრამ დამნაშავე ველოსიპედისტი შეჯიბრებიდან გაირიცხება;

ბ) გუნდურ გადარბენაში შემოვლას შეაჩერებენ. სტარტს ხელახლა იწყებენ, დამნაშავე გუნდს კი დისტანციას უგრძელებენ: პირველ შემთხვევაში 5 მეტრით. სტარტის განმეორებით ჩაშლის შემთხვევაში 10 მეტრით. სტარტის წესების მესამეჯერ დარღვევის შემდეგ გუნდი შეჯიბრებიდან გაირიცხება.

12. ტრეკზე გადარბენებში ახალი სტარტი ეძლევა:

ა) მოკლე დისტანციებზე გადარბენის დროს, თუ სტარტის მომენტში წაიქცა რომელიმე მონაწილე;

ბ) მოკლე დისტანციებზე გადარბენის დროს, თუ რომელიმე მონაწილის მანქანა არაწესიერ მდგომარეობაშია (შემოვლები-სერიები-ფინალები) და თუ ფინიშამდე დარჩენილია არა ნაკლებ 200 მეტრისა; სისწრაფეზე შემოვლების დროს კი — მთელ დისტანციაზე, რის შესახებ დაზარალებული აცხადებს ხელის მალლა აწევით;

გ) ჯგუფურ შემოვლებსა და გაწყვილებულ გადარბენებში რეზინის სალტის გაჩხვლეტა დისტანციის გავლის არც ერთ მომენტში არ შეიძლება იყოს შემოვლის შეჩერებისა და ახალი სტარტის მიცემის საბაზი.

13. გადამრბენთა გადასვლა ტრეკის გზიდან წრის შიგნით არ წარმოადგენს შემოვლის შეჩერების საბაზს, თუ ეს

არ არის გამოწვეული გაუფრთხილებლობით ან ხელის შემლთ მეორე გადამრბენის მხრივ.

14. თუ მონაწილემ ხელის მალლა აწევით შემოვლა შეაჩერა, მან ამის მიზეზი უნდა განუმარტოს მსაჯთა კოლეგიას; იმ შემთხვევაში, თუ ეს მიზეზი არასაპატიოდ იქნა ცნობილი, მონაწილე მეორე სტარტზე არ დაიშვება, ხოლო სამაჩტო შემოვლაში კი მას დამარცხება ეთვლება.

15. გამოდევნებით გადარბენებში ველოსიპედების გატეხვის ან გადარბენის მონაწილეთა წაქცევის შემთხვევაში, გადარბენები შეწყდება და განახლება იმ ადგილიდან, სადაც შეწყვეტილ იქნა. მსაჯები გადარბენას აჩერებენ წაქცევის ან დაშავებული გადამრბენის მიერ ხელის მალლა აწევის შემთხვევაში. თუ ხელის შემლას მსაჯთა კოლეგია არაარსებითად მიიჩნევს, მაშინ გადამრბენი კარგავს ჩასათვლელ ადგილს, მეორე გადამრბენი კი ვალდებულია დაამთავროს დისტანცია დროის აღრიცხვის მიზნით.

განმეორებითი სტარტისათვის საპატიო მიზეზებს წარმოადგენენ: ჩარჩოს გატეხვა, ველოსიპედის ნაწილების — საქის, საჯდომის, ბარბაცას, ჯაქვის არაწესიერი მდგომარეობა, რეზინის სალტეების გახვრეტა და სხვ.

არაწესიერი მდგომარეობა ველოსიპედის მოწყობილობის: ტუკლიპების, ღვეჯების, სახელურებისა და სხვ., არ წარმოადგენს საბაბს შემოვლის შეჩერებისა და სტარტის განმეორებით მიცემისათვის დაზარალებულის სასარგებლოდ.

ლიდერის მოტოციკლის გაჩერება ან გაფუჭება არ ჩაითვლება შემოვლის შეჩერებისა და სტარტის განმეორებითი მიცემის მიზეზად.

გადარბენები ლიდერს უკან განახლება, თუ გატყდა (დაზიანდა) ველოსიპედი ან წაიქცა ველოსიპედისტი პირველი სამი წრის მანძილზე.

16. მოკლე დისტანციებზე ტრეკზე ცალკეული შემოვლის სტარტი მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილებით შეიძლება გადადებულ იქნას რამდენიმე წუთით:

ა) თუ გასკდა ველოსიპედის რეზინის სალტე გადამრბენის სტარტზე გამოსვლის მომენტში;

ბ) შემოვლებში -- თუ ორი მონაწილე ერთი ველოსიპედით მიდის და მათი სასტარტო ნომრები ერთიმეორესთან ახლოსაა.

§ 28. ტრეკზე მსვლელობის წესები

1. მონაწილის მიერ მსვლელობის წესების დარღვევის შემთხვევაში მსაჯთა კოლეგია განკარგულებებს იძლევა სიგნალებით:

ა) მწვანე ალამი -- გაფრთხილება;

ბ) წითელი ალამი -- დაუყოვნებლივი ჩამოხტომა.

2. აკრძალულია დისტანციის გავლა პირველ საზომ ხაზს ქვევით.

3. წინა მიმავალ მონაწილეს შეიძლება გაუსწრო მხოლოდ მარჯვენა მხრიდან. ველოსიპედისტის მარცხენა მხრიდან გასწრება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ წინ მიმავალი გადამრბენი მარჯვნივ გადავიდა მეორე საკონტროლო ხაზის გარეთ. ეს წესი არ ვრცელდება უკანასკნელ 200 მეტრზე. ყველა შემთხვევაში უკანასკნელ 200 მეტრზე წინ მიმავალი ვალდებულია იაროს დერეფანში (1-ლ და მე-2 საკონტროლო ხაზებს შორის) და უფლება არა აქვს ფინიშის ხაზამდე მარჯვნივ გადავიდეს. მარჯვნივ გადასვლას სასჯელად მოსდევს გადამრბენის დისკვალიფიკაცია.

4. მარჯვენა მხრიდან გასწრების შემთხვევაში გადამრბენს უფლება აქვს დაიკავოს ადგილი დერეფანში პირველ და მეორე ხაზებს შორის, თუ იგი აღმოჩნდება წინ არა ნაკლებ 2 მ (ველოსიპედის მთელ სიგრძეზე). ეს წესი ეხება იმ წინ მიმავალ მონაწილესაც, რომელიც გამოვსა მეორე საკონტროლო ხაზს გარეთ და სურს გზის შიგნითა ნაპირას ადგილი ხელმეორედ დაიკავოს.

5. მოკლე დისტანციებზე მატჩების დროს შეჩერება დაუშვებელია. აკრძალულია აგრეთვე უკანა სკლის მიცემა მანქანისათვის ან დამატებითი საყრდენის გამოყენება. ამ დროს წაქეუული გადამრბენი დამარცხებულად ცხადდება.

6. საერთო სტარტით შეჯიბრების მონაწილეებს ეკრძალებათ ფინიშის დროს საკეზე ხელის მოშორება. ეს წესი

გადამრბენმა უნდა დაიცვას ფინიშის შემდეგაც ვირაჟის ბოლომდე.

7. რაიმე მიზეზით ტრეკის გზას აცდენილ ველოსიპედისტს უფლება აქვს გააგრძელოს გადარბენა, მაგრამ აუცილებლად იმ ადგილიდან, სადაც გზას აცდა.

8. აკრძალულია დროის ან წრეების რაოდენობის კარნახი ფარულ ფინიშებიან დისტანციებზე საათობრივი გადარბენის დროს.

9. მსაჯთა კოლეგიას ნება ეძლევა წრეების მიხედვით გამოუცხადოს დრო მონაწილეებსა და მაყურებლებს.

10. ტრეკზე შეჯიბრების დროს აკრძალულია მონაწილეების დალაპარაკება როგორც მაყურებლებთან, ისე ურთიერთშორის. გუნდური შემოვლების, გაწყვილებულ და სალიდერო გადარბენების დროს ლაპარაკი თავისი კოლექტივის მონაწილეთა შორის ნებადართულია.

11. თუ ველოსიპედისტს ან ლიდერ-მოტოციკლისტს რატომღაც არ შეუძლია დისტანციის დამთავრება, მაშინ იგი ვალდებულია ტრეკის გზიდან წრის შიგნით გადაუხვიოს.

12. მსაჯთა კოლეგიას უფლება აქვს მოხსნას გადარბენიდან ყოველი მონაწილე, რომელიც დარჩება ტრეკზე (ჩამორჩება რა ერთი წრით ან მეტი) იმისათვის, რომ სხვა გადამრბენებს შეგნებულად გაუძნელოს მისთვის გვერდის ავლა.

13. გაწყვილებულ გადარბენებში:

ა) შეცვლა უნდა მოხდეს იმ მომენტში, როდესაც პარტნიორთა ველოსიპედების წინა თვლები ერთ ხაზზე იმყოფებიან;

ბ) შეცვლა ხდება შემდეგი წესით: შესაცვლელი გადამრბენი, ტრეკის რომელ წერტილშიც არ უნდა იმყოფებოდეს — ქვევით, წარბაზე თუ მალა ვირაჟზე, — ვიდრე მისი პარტნიორი 50 მ მიუახლოვდებოდეს მას, უნდა იყოს დერეფანში პირველ და მეორე საკონტროლო ხაზებს შორის, სადაც უნდა მოხდეს გადამრბენთა ურთიერთ სწორება შეცვლის ჩასატარებლად;

გ) თუ გაწყვილებულ გადარბენებში მონაწილეობენ გადამრბენები არა ნაკლებ 1-ლი თანრიგისა, მაშინ შესაცვლელ-

მა გადამრბენმა ხელით უნდა შეეხოს მისი პარტნიორის ზურგის შემდეგ შეცვლა ჩატარებულად ითვლება.

გადამრბენის წაქცევის შემთხვევაში, მსაჯთა კოლეგია სიგნალით (ხარით) აცხადებს ორი ნეიტრალური წრის შესახებ (რომლებიც არ შედიან ანგარიშში როგორც მიმავლებისათვის, ისე წაქცეულ გადამრბენთათვის). ეს პირობები არ ვრცელდება ფინიშის წრეზე. წაქცეულ გადამრბენს უფლება აქვს ჩაებას გადამრბენაში ამ ნეიტრალური წრეების მანძილზე იმ ადგილიდან, სადაც წაიქცა და გამოტოვებული წრეების მიუხედავად შეჯიბრების მონაწილეთა რიცხვში ჩაითვლება. ეს წესი არ ვრცელდება პარტნიორზე. ნეიტრალური წრეების დროს შეცვლა აკრძალულია.

14. სალიდერო გადამრბენები:


ა) მეწინავე გადამრბენს ეკრძალება იაროს მესამე ხაზის გარეთა მხარეზე, ე. ი. 2 მ უფრო მაღლა გზის შიდა ნაპირიდან;

ბ) როდესაც მეწინავე გადამრბენი მესამე ხაზს ზევით მიდის, მაშინ მის უკან მომდევნო გადამრბენს უფლება არა აქვს გადავიდეს შიგნითა ხაზზე და წინ მიმავალს მარცხენა მხრიდან გაუსწროს;

გ) იმ შემთხვევაში, თუ მეწინავე გადამრბენი გადავიდა მესამე ხაზს გარეთ, იგი ვალდებულია ერთი წრის განმავლობაში დაბრუნდეს თავის ზონაში. თუ ეს არ გააკეთა, მას ეძლევა გაფრთხილება; ხოლო ორი წრის განმავლობაში ამ წესის შეუსრულებლობის შემთხვევაში გადამრბენი მოიხსნება მიმდინარე გადამრბენიდან;

დ) წინ მიმავლისათვის გასწორების დროს ლიდერს უფლება არა აქვს მესამე ხაზს შიგნით შევიდეს მანამდე, ვიდრე არ გაუსწრებს, და მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია გადავიდეს მარცხნივ, თუ მანძილი მის მიერ ლიდირებულ გადამრბენსა და უკან ჩამოტოვებულ ლიდერს შორის იქნება არა ნაკლებ სამი მეტრისა;

ე) უშიშროების მიზნით დამწვევ ლიდერს, რომელიც იმყოფება პირველ და მესამე საკონტროლო ხაზებს შორის, უფლება აქვს იაროს წინ მიმავალი ველოსიპედისტის უკანა



თვლის უკან არა უახლოეს 5 მეტრისა, მესამე ხაზს გარეთ ყოფნის დროს კი — არა უახლოეს 3 მეტრისა. ლიდერი, რომელიც უფრო ახლო მანძილზე მიუახლოვდება წინ მიშავალ გადამრბენს, ვალდებულია ან დაუყოვნებლივ წავიდეს მის შემოსავლელად, ან დაამყაროს ზემოთ აღნიშნული ინტერვალი;

ვ) მონაწილეებს ნება ეძლევათ (ავარიის შემთხვევაში) გამოიცივლონ ველოსიპედები ან ლიდერები, მოტოციკლის გაფუჭების შემთხვევაში კი გაჰყვნენ სხვა მონაწილეს ისე, რომ ხელი არ შეუშალონ მას;

ზ) ველოსიპედისტს, რომელაც ლიდერს დისტანციის ბოლოს დაკარგავს, შეუძლია შეჯიბრება ულიდეროდ დაამთავროს;

თ) ლიდერს უფლება არა აქვს ხელები მოაშოროს საჭეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი არეგულირებს მოტოციკლს ან ზეთავს მას;

ი) ლიდერს უკან გადამრბენს უფლება არა აქვს ერთი შემოვლის განმავლობაში გადასცეს თავისი ლიდერი მეორე მონაწილეს;

კ) ყოველგვარ შეჯიბრებაში ლიდერ-მოტორისტს შეუძლია წაუძღვეს მხოლოდ ერთ ველოსიპედისტს. გადარბენაზე გამოცხადებულნი ლიდერის სათადარიგო მოტორისტით შეცვლა შეიძლება მსაჯთა კოლეგიის ნებართვით და ისიც მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში (ლიდერის ავადმყოფობა ან დისკვალიფიკაცია, მოტორის არაწესიერი მდგომარეობა);

ლ) შეჯიბრების მონაწილეს უფლება არა აქვს დისტანციის გავლის დროს უბიძგოს მეორეს, გზა გადაუჭრას, აიძულოს განზე წასვლა, განზრახ შეანელებიოს სვლა მოწინააღმდეგის შეჩერების ან წაქცევის მიზნით (კროსინგი);

მ) სამატრო შემოვლების იმ გადამრბენს, რომელიც ხელს შეუშლის თავის მოწინააღმდეგეს, ეთვლება დამარცხება, მიუხედავად იმისა, დაზარალებულმა დისტანცია დაამთავრა თუ არა;

ნ) შეჯიბრების დროს მონაწილეებს აკრძალულია აქვე ხელით წაშველება (ვარდა გაწყვილებული გადარბენის შემთხვევისა), ერთიმეორის შემაჯრება, მოწინააღმდეგისათვის ან ლიდერისათვის ხელის მიკარება;

ო) უბრძოლველობის ან გადარბენის წესების დარღვევის შემთხვევაში გადამრბენს უნდა მიეცეს გაფრთხილება, განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში კი — მოხსნილ უნდა იქნეს დისტანციიდან;

პ) ტრეკზე გადარბენის დროს, წვიმის დაწყების შემთხვევაში, მთავარი მსაჯი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს გადარბენა უბედური შემთხვევების (გადამრბენის წაქცევა გზის სისველის გამო) თავიდან აცილების მიზნით. ასეთ შემთხვევაში გადარბენები ხელმეორედ უნდა იქნეს გათამაშებული, ან თუ გავლილია გზის 3/4-ზე მეტი და შესაძლებელია რაიმე ჩათვლის მოხდენა, ეს აუცილებლად უნდა იქნეს შესრულებული.

დაუშთავრებელ დისტანციებში ჩემპიონის წოდების მინიჭება არ ხდება.

§ 29. ფინიში

1. დისტანცია დამთავრებულად ითვლება იმ მომენტში, როდესაც ველოსიპედის წინა თვალი გადაკვეთს ფინიშის ხაზს.

2. გადამრბენის წაქცევა ან ველოსიპედის გატეხვა არ ართმევს შეჯიბრების დამთავრების უფლებას. გადამრბენს შეუძლია დაამთავროს დისტანცია, თუ მიყავს ველოსიპედი ან თვითონ მიაქვს იგი სხვის დაუხმარებლად.

3. როცა დისტანციის ბოლომდე ერთი წრე რჩება, გადამრბენებს ეძლევა ხანგრძლივი სიგნალი ზარით.

ყოველი შემოვლის დამთავრება აღინიშნება ფინიშზე ზარის მოკლე დარეკვით.

4. ფარული ფინიშებით ტრეკზე გადარბენებში ფინიშის ადგილს განსაზღვრავს მთავარი მსაჯი. იგი ფინიშების ადგილმდებარეობას აუწყებს მსაჯს ფინიშზე დახურული კონვერტით, რომელიც გაიხსნება სტარტის შემდეგ.

5. შეჯიბრებებში დროზე ფინიში წესდება შემდეგი ორი ხერხით:



ა) ერთი წუთით აღრე დისტანციის დამთავრებამდე სტარტის მიმცემი წამმზომელი იძლევა წინასწარ სიგნალს ზარით, ხოლო ფინიშის მომენტში იგი ზარისვე დარეკვით აღნიშნავს გადარბენის დამთავრების დროს. ამ მომენტში მსაჯი-ფინიშზე, რომელიც წრის შუაგულში იმყოფება, შენიშნავს ფინიშის წერტილს და განსაზღვრავს ველოსიპედისტის მიერ ვანვლილ მანძილს. თუ შემოვლაში მონაწილეობდა გადამრბენთა ჯგუფი, მაშინ მსაჯი-ფინიშზე განვლილი მანძილის გარდა განსაზღვრავს აგრეთვე გადამრბენთა მიერ დაკავებული ადგილების რიცხსაც;

ბ) ადგილების განსაზღვრა ხდება აგრეთვე შედეგების მიხედვითაც, იმ რიგის სააუქციელზე, რა რიგითაც მივიდნენ გადამრბენები მუდმივი ფინიშის ხაზზე. ამის შესახებ გადამრბენებს სტარტზე ეუწყება.

შენიშვნა: რეკორდის დასამყარებელ შემოვლებში გზატრეკზე ყოველ 20 მ აღნიშნული უნდა იყოს ალმებით 1 მ მანძილზე წარბადან (წრის შიგნით).

§ 30. გამარჯვებულთა განსაზღვრა ტრეკზე გადარბენებში

1. დროის მიხედვით შედეგების განსაზღვრა შემდეგი წესით წარმოებს:

ა) როდესაც სამი წამმზომელიდან ორი ერთსა და იმავე დროს გვიჩვენებს, შედეგები ჩაითვლება დროის თანაბრად მაჩვენებელი წამმზომების მიხედვით;

ბ) როდესაც სამი წამმზომი სხვადასხვა დროს გვიჩვენებს, მაშინ ჩაითვლება იმ წამმზომის დრო, რომელიც საშუალო შედეგს იძლევა;

გ) თუ ერთ-ერთმა წამმზომელმა რაიმე მიზეზის გამო არ ჩაინიშნა მონაწილის დრო, მაშინ შედეგი ჩაითვლება იმ წამმზომის მიხედვით, რომელიც უცუოდეს დროს გვიჩვენებს.

დრო განისაზღვრება ერთი შეათედი წამის სიზუსტით.

2. ორი ან რამდენიმე მონაწილის მიერ დისტანციის ერთდროულად „ბორბალი-ბორბალში“ დამთავრების შემთხვევაში, ყველა ისინი ითვლებიან გამარჯვებულებად, ე. ი. მოპოვებული ადგილის ურთიერთ შორის გამყოფებად.

გამონაკლის წარმოდგენს შეჯიბრება პირველობაზე და გარდამავალი პრიზების გათამაშებანი 1 კმ გადარბენებში; ამ შემთხვევაში გამარჯვებულთა გამოსავლინებლად ინიშნება დამატებითი შემოვლა.

თუ ნახევარფინალური შემოვლის გამარჯვებულებმა დისტანცია დაამთავრეს „ბორბალი-ბორბალში“, ყველა ისინი ღებულობენ თანაბარ უფლებას ფინალში მონაწილეობაზე.

ეს ეხება აგრეთვე წინასწარ და სერიულ შემოვლებში გამარჯვებულებს.

თუ ფინალის მონაწილეთა რიცხვი 4-ზე მეტი აღმოჩნდება, მსაჯთა კოლეგია ვალდებულია ჩაატაროს დამატებითი შემოვლა „ბორბალი-ბორბალში“ მოსულთა შორის.

შეჯიბრებებში, რომლებშიც შეფასება ქულათა მიხედვით ხდება, „ბორბალი-ბორბალში“ მისული ველოსიპედისტები იყოფენ მოპოვებულ ადგილს. მაგალითად: I და II ადგილები 3 ქულას შეადგენენ, მონაწილეებს ეძლევათ $1\frac{1}{2}$ — $1\frac{1}{2}$; ან მე-3 და მე-4 ადგილები შეადგენენ 7 ქულას, მონაწილეებს ეძლევათ $3\frac{1}{2}$ — $3\frac{1}{2}$ და ა. შ.

თუ მატჩის ფინალში ორ გადამრბენს ქულათა თანაბარი რაოდენობა აქვთ და ერთი მათგანი გამარჯვებული იყო მეორეზე ერთ-ერთ წინამორბედ შემოვლაში, მაშინ მას ენიჭება გამარჯვება დამატებითი შემოვლის გარეშე.

თუ სერიულ შემოვლებში, ნახევარფინალში და ა. შ. გამარჯვებულებს რაიმე მიზეზების გამო არ შეუძლიათ გადარბენის გაგრძელება, მაშინ მათი შფიცვლა მათ შემდეგ მისული მონაწილეებით აკრძალულია.

სერიების შედგენის დროს სახელმძღვანელო პრინციპს წარმოადგენს წინასწარ შემოვლებში წაჭებულთათვის შესაძლებლობის მიცემა, რომ მათ მეორეჯერ მიიღონ მონაწილეობა გადარბენებში, ე. ი. ეწყობა სანუგეშო შემოვლები, რომლებშიც გამარჯვებულნი მეოთხედ-ფინალში შეჭვავთ.

მ. ტრეკზე გუნდურ შემოვლებში ჩათვლა წარმოებს გუნდის უკანასკნელის წინა მოწაწილის შედეგების მიხედვით: 4 კაცის სტარტის დროს — მესამის, 3 კაცის სტარტის დროს — მეორის შედეგების მიხედვით.



4. ჯგუფურ შეჯიბრებებში, როდესაც ველოსიპედისტები დიდი ჯგუფით მივლენ ფინიშზე, უწინარეს ყოვლისა განისაზღვრება პირველი სამი-ხუთი ადგილი. დანარჩენი გადამრბენების ადგილთა განსაზღვრა (შეჯიბრების ჩათვისის პირობებთან დაკავშირებით) ან სრულიად არ წარმოებს ანდა ხორციელდება შემდეგნაირად: მაგალითად, ფინიშზე 12 გადამრბენის მისვლის შემთხვევაში პირველ ხუთს მიეკუთვნება სათანადო ადგილები და ქულები 1, 2, 3, 4, და 5. შემდგომ ხუთ გადამრბენს ჩათვლება 8—8 ქულა თითოეულს ($6+7+8+9+10=40:5=8$); მე-11 გადამრბენს — 11 ქულა და მე-12 — 12 ქულა.

5. გაწყვილებულ გადამრბენებსა და ჯგუფურ შემოვლებში, რომლებშიც ლიდერობისათვის გათვალისწინებულია ცალკეული ჩათვლები, გამარჯვებული გამოვლინდება ერთ-ერთი წესით შემდეგი ორი წესიდან:

ა) სპეციალური მსაჯი და მისი მდივანი, რომელნიც წრის შუაგულში იმყოფებიან, განსაზღვრავენ ამა თუ იმ გადამრბენის მიერ მონაწილეთა ჯგუფის წინ გავლილ დისტანციას; გადამრბენი, რომელიც მანძილის უფრო მეტ ოდენობას გაივლის, როგორც ლიდერი, აღიარებულ იქნება გამარჯვებულად სალიდერო შემოვლაში.

ბ) ითვლება გამარჯვებულად ის, ვინც უფრო მეტჯერ გაივლის ცალკეულ წინასწარ დაწესებულ წერტილებს ტრეკზე მონაწილეთა ჯგუფის წინ.

6. სსრ კავშირის პირველობაზე შეჯიბრებებში მეოთხედ-ფინალების, ნახევარ-ფინალებისა და ფინალებისათვის შეჯიბრება გაწყვილებულ მატჩებში ხდება. მეოთხედ-ფინალები, ნახევარ-ფინალები და ფინალები გაითამაშება ორ ან სამ შემოვლაში, თუ ამას აუცილებლობა მოითხოვს. მესამე და მეოთხე ადგილები გაითამაშება ისეთივე წესით, როგორითაც პირველი ორი.

მოკლე დისტანციებზე ფინალის სამი შემოვლით გათამაშების დროს ითვლება გამარჯვებულად ის მონაწილე, რომელიც პირველ ორ შემოვლაში პირველ ადგილს დაიჭერს. მესამე შემოვლაში მას შეუძლია მონაწილეობა არ მიიღოს.

§ 31. სტარტი

1. სტარტის დამწყები გუნდის სტარტზე დროულად გამოცხადება, სტარტისათვის მოუშაადებლობა, სტარტზე განაწილება, სტარტის ჩაშლა ექვემდებარება 27-ე პარაგრაფში გათვალისწინებულ წესებს.

2. საგზატკეცილო შეჯიბრებებსა და კროსებში ცალკეული სტარტი ეძლევა ინტერვალით არა ნაკლებ 30 წამისა.

3. განცალკევებული სტარტის დროს სტარტის ხაზიდან გადაზე ადრე გასვლის შემთხვევაში გადამრბენი ან გუნდი უკან ბრუნდება და სტარტს სელახლა აიღებს. სტარტის დროდ ითვლება ოქმში ნაჩვენები დრო.

4. შეჯიბრების სტარტი არ შეიძლება გამოცხადებულ დროზე ადრე იქნას დაწყებული.

5. 150 კმ მეტ დისტანციაზე შეჯიბრების სტარტის დრო გათვალისწინებული უნდა იქნას ისეთი ანგარიშით, რომ ფინიში დაბნელებამდე ხდებოდეს. თუ ღამით გადარბენა აუცილებელია, მაშინ ღამე სტარტზე უნდა მოდიოდეს და არა ფინიშზე.

6. კროსზე გადარბენის სტარტი ეძლევა საერთო არა უმეტეს 80—100 გადამრბენს (სტარტის ადგილის მიხედვით). ყველა მონაწილე ველოსიპედზე მჯდომნი ჩამწყობდება ორ-სამ რიგში და თავის შესამავრებლად სატერფულიდან ერთ ფეხს ჩამოუშვებენ ან ველოსიპედის გვერდით ფეხზე დგანან.

§ 32. გზატკეცილზე მხვლელობის წესები

1. საგზაო ველოსიპედები თავისუფალი სვლითა და მუხროუბებით დაიშვება საგადასარბენო ველოსიპედების ჯგუფებში.

2. დისტანციის გავლის დროს ყველა მონაწილე ვალდებულია მკაცრად დაიცვას ადგილობრივი ორგანიზაციის მიერ დაწესებული მოძრაობის წესები; ავტომობილებს, საზიდავეებს, ორთვალას ან სხვა ტრანსპორტს, ასევე ფეხით მოსიარულეებს უნდა ჩაუარონ მარცხენა მხარეზე; ტრანსპორტის შემხვედრი მოძრაობისას მარჯვენა მხარე უნდა დაიჭიროს.

მოდრაობის წესების დარღვევისათვის ველოსიპედისტები პირადად არიან პასუხისმგებელნი.

3. ლიდერები ცალკეული სტარტის დროს:

ა) ველოსიპედისტს, რომელიც დაეწევა მეორე მონაწილეს, უფლება არა აქვს ლიდერად გამოიყენოს იგი; ის ვალდებულია ან უკან იაროს ინტერვალით არა ნაკლებ 25 მ, ან გაუსწროს გვერდის ჩავლით გზატკეცილის მეორე მხარეზე; ეს ეხება აგრეთვე უკან ჩამოტოვებულ გადამრბენსაც, თუ იგი ისევ წინ მოქცევას მოისურვებს;

ბ) გუნდური სტარტით გადარბენის მონაწილეებს უფლება აქვთ ლიდირება გაუწიონ მხოლოდ თავის გუნდის წევრებს. სხვა გუნდებთან შეერთება მათი ლიდერობის მიზნით ანდა, პირიქით, მათი ლიდირების ქვეშ მსვლელობის მიზნით — აკრძალულია როგორც ერთეულებისათვის, ისე მთელი გუნდისათვის.

4. საერთო სტარტის დროს დასაშვებია გადამრბენების მიერ ერთიმეორის ყოველგვარი ლიდირება.

ავტომობილების, მოტოციკლებისა და უცხო პირთა ველოსიპედების ლიდერად გამოყენება აკრძალულია როგორც ცალკეული, ისე საერთო სტარტის დროს.

5. შეჯიბრებიდან გამოვარდნილი მონაწილე იხსნის თავის ნომერს და მას კონტროლიორს აბარებს.

6. გზატკეცილზე და ველოკროსში შეჯიბრებებში საერთო სტარტით და წრიული მარშრუტით (სიგრძით არა ნაკლებ 10 კმ), ამ წრიული მარშრუტის რამდენჯერმე გავლის პირობით, მონაწილე, რომელსაც ლიდერი ერთი წრით უკან ჩამოიტოვებს, შეჯიბრებიდან გამოვარდნილად ითვლება.

7. გზატკეცილზე (ცალკეული სტარტის დროს) ლიდერობის მიზნით ერთი მონაწილის მიერ მეორისათვის ლოდინი (ნელი სვლა) წესების დარღვევად ითვლება.

8. შეჯიბრების მონაწილეს უფლება არა აქვს დისტანციის გავლის დროს ხელი მიაკაროს მოწინააღმდეგეს, უბიძგოს მას, განზრახ აიძულოს განზე გასვლა, დააკავოს შეჩერების ან წაქცევის მიზნით (ხელისშეშლა) და სხვ.

3. ველოსიპედური სპორტი

9. მრავალდღიანი გადარბენების იმ მონაწილეს, რომელიც ერთ-ერთ ეტაპზე მიიღებს ტრავმატულ დაზიანებას და იძულებული გახდება შეწყვიტოს გადარბენა ექიმის დასკვნით, უფლება აქვს გადარბენა შემდგომი ეტაპიდან გააგრძელოს. დაუმთავრებელი ეტაპისათვის მას ჩათვლება უკანასკნელი გადამრბენის დრო პლუს 5 წუთი.

§ 33. ფინიში

1. გადამრბენის მიერ დისტანციის დამთავრების განსაზღვრა ხდება წინამდებარე წესების 29-ე პარაგრაფის შესაბამისად.

თითოეული შემოვლის დამთავრება აღინიშნება ფინიშზე მსაჯის (მსაჯი-ფინიშზე) აღმის ძირს დაშვებით.

2. გზატკეცილზე და ველოკროსში შეჯიბრებებში ერთ-ერთი მსაჯი-ფინიშზე (ფინიშის ხაზს იქით 100 — 150 მ მანძილზე) აწარმოებს იმ გადამრბენთა რეგისტრაციას, რომლებმაც დაამთავრეს დისტანცია; რეგისტრაცია ხდება იმ რიგის მიხედვით, რა რიგითაც გადამრბენები ფინიშზე მივლენ. ველოსიპედისტი ვალდებულია გადარბენის დამთავრებისას თავისი ნომერი რეგისტრაციაში გაატაროს და ჩაბაროს კონტროლიორს. ამ წესის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მას უფლება არა აქვს გაასაჩივროს ჩაუთვლელი შედეგი.

3. საგზატკეცილო შეჯიბრებებსა და ველოკროსში ფინიში იხურება:

ა) საერთო სტარტის დროს, გადარბენაში გამარჯვებულის დროის 40% გასვლის მომენტში;

ბ) ცალკეული სტარტის დროს კი იმ მომენტში, როდესაც სტარტის უკანასკნელად ამღები მონაწილის გაშვების მომენტიდან გავა გადარბენაში გამარჯვებულის დროის 30%.

§ 34. გზატკეცილზე გადარბენებსა და ველოკროსებში გამარჯვებულთა განსაზღვრა

1. შეჯიბრებათა შედეგების განსაზღვრა დროის მიხედვით და ფინიშზე ორი ან რამდენიმე მონაწილის „ბორბალი-

ბორბალში“ მისვლის შემთხვევაში წარმოებს წინამდებარე წესების 30-ე პარაგრაფის (1 და 2 პუნქტები).

2. ფინიშზე ჯგუფად მისვლის შემთხვევაში გამარჯვებულისა და მონაწილეთა ადგილების განსაზღვრა ხდება ამ წესების 30-ე პარაგრაფით (პუნქტი მე-4).

3. გზატკეცილზე შეჯიბრებებში გუნდური ჩათვლა, გადარბენის შესახებ არსებული დებულების თანახმად, წარმოებს დისტანციისა და გუნდში გადამრბენთა რაოდენობის მიხედვით.

გუნდურ შემოვლაში თანაბარი ქულების მიღების შემთხვევაში გამარჯვებულად ითვლება ის გუნდი, რომლის უკეთესი გადამრბენი უფრო ადრე მივიდა ფინიშზე, ვიდრე მოწინააღმდეგე გუნდის უკეთესი გადამრბენი.

თუ გუნდი ფინიშზე არასრული შემადგენლობით მივიდა, მაშინ ყოველ არ მისულ ჩასათვლელ მონაწილეზე მას ეძლევა უკანასკნელი ადგილის თანატოლი რაოდენობის ქულებს პლუს ერთი საჯარიმო ქულა.

მაგალითი: პირად-გუნდურ შეჯიბრებაში ჩაეწერა 100 კაცი. ამ რაოდენობაში შედის 10 გუნდი 5—5 კაცის შემადგენლობით, ჩათვლით სამ უკეთესზე; ერთ-ერთი გუნდი მივიდა ფინიშზე ორი ველოსიპედისტის შემადგენლობით. ამ გუნდს ორი მისული მონაწილეთა ქულების დამატებით ეძლევა მესამე მიუსვლელ მონაწილისათვის 31 ქულა (გუნდურ პირველობაზე ჩასათვლელ მონაწილეთა 30 ქულას პლუს 1 ქულა).

თუ გუნდური ჩათვლა წარმოებს არა ქულების, არამედ დროის მიხედვით, მაშინ ფინიშზე ყოველ მიუსვლელი მონაწილისათვის გუნდს ჯარიმის სახით ეძლევა გუნდის მონაწილეების ყველაზე უკანასკნელი დროს პლუს 1 წუთი.

4. იმ გადამრბენის შედეგი, რომელიც მონაწილეობს მხოლოდ პირად პირველობისათვის, არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გუნდური პირველობის ჩათვლისათვის.

5. გზატკეცილზე პირად-გუნდურ შეჯიბრებებში, გუნდებს გარდა, შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ აგრეთვე ცალკეულ გადამრბენებმაც, რომელნიც არ შედიან გუნდის პირველობის ჩათვლაში.

§ 35. გზაში კვება

1. როდესაც შეჯიბრება ტარდება 100 კმ მეტ დისტანციაზე, შეჯიბრების ჩამტარებელი ორგანიზაცია ვალდებულია, — თუ გადარბენის შესახებ არსებულ დებულებაში არ არის გათვალისწინებული გადამრბენთა სტარტზე მომარაგება ჩანთებში ჩალაგებული საგზაო საკვებით, — გზაზე მოაწყოს საკვები პუნქტები არა უშორეს 60 — 70 კმ მანძილზე. პუნქტები ეწყობა გზის პირას და აღინიშნება სათანადო პლაკატით ან აღმით. მთელ მომსახურე და თანმხლებ პერსონალს ეკრძალება, საკვებ პუნქტებს გარდა, მისცენ, გადამრბენებმა კი მიიღონ საჭმელ-სასმელი. ამ წესის დამრღვევი მონაწილენი გადარბენიდან მოიხსნებიან.

2. გადამრბენებს უფლება აქვთ გზაში ერთიშეორეს სასმელ-საჭმელი გაუცვალონ.

3. 100 კმ-მდე დისტანციაზე საკვები პუნქტების მოწყობა სავალდებულო არ არის.

4. სვლის დროს ავტომობილიდან გადამრბენთა კვება ან მეწინავე მოტოციკლის საწვავით მომარაგება ნებადართულია გამონაკლის შემთხვევაში. დაიშვება მხოლოდ შეჯიბრებებზე ლიდერებს უკან 200 კმ დისტანციის შეუჩერებლად გავლის დროს.

მოტოციკლისათვის საწვავის გადაცემა ან გადამრბენისა და ლიდერისათვის საჭმლის მიწოდება უნდა ხდებოდეს სპეციალური მოწყობილობით, რათა ავტომობილი გადამრბენს არ მიუახლოვდეს 1 მ მეტად.

§ 36. თანმხლები ტრანსპორტი

გზაში თანმხლები ტრანსპორტის გაყოლა დასაშვებია შემდეგი წესით:

ა) თანმხლები ავტომობილები უკან მიჰყვებიან გადამრბენებს არა უახლოეს 100 მეტრისა;

ბ) თუ მოხდა გადამრბენთა ჯგუფის გაწყვეტა, ავტომობილებს შეუძლიათ იარონ ორ ჯგუფს შორის წარმოქმნილ შუალედში, თუკი მათ შორის მანძილი 500 მ აღემატება;

გ) თანმხლები ავტომანქანების მიერ მეწინავე ჯგუფის სათვის გასწორება შეიძლება მოხდეს მხოლოდ მთავარი მსაჯის ნებართვით;

დ) ავტომანქანები, რომლებიც მრავალდღიან შეჯიბრებაში გადამრბენებს თან მიჰყვებიან, რეგისტრირებული უნდა იყოს მსაჯთა კოლეგიაში, რომელიც განსაზღვრავს მათ ადგილს თანმხლებთა მწყობარში;

ე) ყველა ავტომანქანამ, რომელიც თან მიჰყვება გადამრბენებს, გზა უნდა დაუთმოს მსაჯთა კოლეგიის ავტომობილებს;

ვ) მონაწილეთა ყოველ თანმხლებ ავტომანქანაში უნდა იმყოფებოდეს მსაჯთა კოლეგიის კონტროლიორი;

ზ) თანმხლებ ავტომანქანებს ეკრძალებათ გაუსწრონ ველოსიპედისტებს ფინიშის ადგილამდე ორი უკანასკნელი კილომეტრის მანძილზე;

თ) თანმხლებ ავტომანქანებში მყოფ შემმოწმებლებს, წარმომადგენლებსა და მგზავრებს აკრძალული აქვთ შეჯიბრების მონაწილეებს მისცენ ცნობები გადარბენის შესახებ, უკარნახონ ტაქტიკური ხერხები, აუწყონ მოწინააღმდეგეთა მდგომარეობა და ტაქტიკა, აცნობონ სიჩქარე;

ი) უკანასკნელი მონაწილის სტარტის შემდეგ გადარბენის მთელ მარშრუტზე უნდა გაიაროს ავტობილმა აგარი-აში მოყოლილ მონაწილეებისათვის საექიმო დახმარების აღმოსაჩენად.

§ 37. რეკორდებისა და მიღწევების რეგისტრაცია

1. რეკორდების დამყარება ხდება მხოლოდ ტრეკზე, დროისა და დისტანციების მიხედვით.

გზატკეცილზე და ველოკროსში შეჯიბრებებში რეკორდების რეგისტრაცია არ წარმოებს, არამედ ტარდება უმაღლესი საშუალო საათობრივი სიჩქარის აღრიცხვა;

2. რეკორდების რეგისტრაცია ხდება შემდეგი დისტანციებისა გავლისათვის:

მ ა მ ა კ ა ც ე ბ ი :

ა) სტარტი სვლიდან — 200, 500, 1000 მ;

ბ) სტარტი ადგილიდან — 500 მ; 1, 2, 3, 4, 5, 10, 15, 20, 25, 50 — 100 კმ და 1 საათით;

გ) გუნდური გადარბენები 4, 5—7 $\frac{1}{2}$ და 10 კმ;

დ) ლიდერებს უკან — საგზაო ტიპის მოტოციკლებით სტარტი ადგილიდან — 5, 10, 15, 20, 25, 50—100 კმ და 1 საათით;

ქალები:

ა) სტარტი სვლიდან — 200, 500, 1000 მ;

ბ) სტარტი ადგილიდან — 500 მ; 1, 2, 3, 4, 5, 10, 15, 25, 50 კმ და 1 საათით;

გ) გუნდური გადარბენები — 2, 3, 5, კმ;

17—18 წლის ქაბუკები:

ა) სტარტი სვლიდან — 200, 500 და 1000 მ;

ბ) სტარტი ადგილიდან — 500 მ, 1, 2, 3, 4, 5, 10, 15, 20, 25 კმ;

გ) გუნდური გადარბენები 2, 3, 4, და 5 კმ.

17—18 წლის ქალი შვილები:

ა) სტარტი სვლიდან — 200, 500 მ;

ბ) სტარტი ადგილიდან — 500 მ; 1, 2, 3, 4, 5 და 10 კმ;

გ) გუნდური გადარბენები 2, 3 კმ.

3. არ შეიძლება რეკორდების ჩათვლა შეჯიბრებებში საერთო სტარტით ან ერთდროულად სხვადასხვა სტარტით (გარდა სალიდერო შემოვლებისა).

4. რეკორდების დამყარება შეიძლება ამ პარაგრაფში ნაჩვენებ დისტანციებზე, არა მარტო დისტანციაზე მთლიანად, არამედ გზადაგზა გავლილ შუალედ დისტანციებზეც კი, მხოლოდ იმ პირობით, რომ დაფარული იქნება მთელი დისტანცია. მაგალითად, 100 კმ გადარბენაში სარეკორდო დროის თანმიმდევრობით ჩათვლა შეიძლება (სამ წამშომით) 5, 10, 15, 25 და 50 კმ-ზე.

5. ლიდერების მიმართ რეკორდების დაწესების შემდეგ აუცილებლად უნდა შემოწმდეს ველოსიპედი, მოტოციკლი და ლიდერის ტანისამოსი და შემოწმების შედეგების შესახებ შედგენილ იქნას აქტი.

6. რეკორდების ჩათვლა შეიძლება იმ ტრეკებზე, რომელნიც რეგისტრირებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს-

§ 38. პროტესტები

1. პროტესტების შეტანა შეუძლიათ ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ხოლო მათი არ ყოფნის შემთხვევაში — გუნდისთავებს.

2. პროტესტები წერილობითი სახით ეძლევა მთავარ მსაჯეს: მონაწილეთა დაშვების შესახებ — სტარტამდე არა უგვიანეს 1 საათისა; შეჯიბრების დროს მომხდარ შემთხვევის შესახებ — შეჯიბრების დამთავრების შემდეგ არა უგვიანეს 30 წუთისა. მრავალდღიანი საგზაო გადარბენების დროს პროტესტების შეტანის ვადები წესდება დებულებით გადარბენების შესახებ.

3. თავის დროზე შეტანილი პროტესტი მთავარი მსაჯის მიერ დაუყოვნებლივ უნდა იქნას განხილული და გადაწყვეტილება ეცნობოს პროტესტის შემტანს.

4. მონაწილე, რომლის შესახებ პროტესტის დაუყოვნებლივ განხილვა შეუძლებელია, შეიძლება დაშვებულ იქნას შეჯიბრებაზე „პროტესტის ქვეშ“ და მისი შედეგი უნდა დამტკიცდეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა გადაწყდება საკითხი პროტესტის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ პროტესტი წამოიჭრა შეჯიბრებაში ცალკეული სტარტით მონაწილე გუნდის ერთ-ერთი წევრის მიპართ, მსაჯთა კოლეგია ან დაუყოვნებლივ გამოიტანს გადაწყვეტილებას პროტესტის შესახებ, ანდა (გუნდის წამომყენებელი ორგანიზაციის თანხმობით) მთელ გუნდს „პროტესტის ქვეშ“ აძლევს მონაწილეობის უფლებას. პროტესტის დამტკიცების შემთხვევაში მთელი გუნდის შედეგი არ ჩაითვლება.

5. საჩივრები, გზატკეცილზე მრავალდღიან გადარბენებში, რომელთაც არა აქვთ უშუალო გავლენა ქულათა შეჯამებაზე, შეიძლება განხილულ იქნან გადარბენის ყველა ეტაპთა შედეგების დამტკიცების დროს.

6. ცნობები, მონაწილეთა მიერ მსვლელობის წესების დარღვევის შესახებ, მიიღება მხოლოდ კონტროლიორებისა და მსაჯთა კოლეგიის სხვა წევრებისაგან.

§ 39. ველოსიპედების გამოცვლა და შეკეთება

1. ტრეკზე შეჯიბრებებში დაშვებულია ველოსიპედების ყოველგვარი შეცვლა ისეთებზე, რომელნიც შეესაბამებიან გადარბენის ტექნიკურ პირობებს.

2. გზატკეცილზე და კროსზე შეჯიბრებებში:

ა) დისტანციაზე ველოსიპედის გამოცვლა ნებადართულია მხოლოდ და მხოლოდ ველოსიპედის გატეხვის შემთხვევაში.

შენიშვნა: ატეხვას მიეკუთვნება ჯაქვის გაწყვეტა, კაკვის ან საჯდომის, ჩარჩოს, თვლების, ჩანგლების (ჩქიფების) გატეხვა. რეზინის ან მოწყობილობის — ტუკლიპსების, ლფედების, მუხრუჭების, სიჩქარეთა გადამრთველების ავარია გატეხვად არ ჩაითვლება.

ბ) აკრძალულია გადამრბენებს შორის ველოსიპედების გაცვლა; ამ წესის დარღვევის შემთხვევაში დამნაშავე გადარბენიდან მოიხსნება.

გადამრბენებს ნება ეძლევათ გზაში ერთიმეორეს გაუცვალონ სალტები, ტუმბოები, იარაღები.

დ) გზაში ველოსიპედების შეკეთება, სალტების გამოცვლა, თვლების და ველოსიპედის სხვა ნაწილების დაყენება წარმოებს თვით გადამრბენის მიერ;

ე) აკრძალულია გადამრბენთა ურთიერთ დახმარება ველოსიპედის შეკეთების დროს. ეს წესი არ ვრცელდება გუნდურ შეჯიბრებაზე, რომელშიც ერთი და იგივე გუნდის წევრებს შეუძლიათ ერთიმეორეს დაეხმარონ თავისი ველოსიპედის გადაცემამდეც კი.

3. ველოსიპედის გამოცვლა ნებადართულია მხოლოდ იმ ადგილებში, რომლებიც დაწესებულია დებულებით შეჯიბრების შესახებ ან მსაჯთა კოლეგიის მიერ. ველოსიპედის გამოსაცვლელ ადგილებში სავალდებულოა ტექნიკური კომისიის წევრის ყოფნა.

4. ნებადართულია არაწესიერი საგადასარბენო ველოსიპედის შეცვლა ყოველნაირი ველოსიპედით; არაწესიერი საგზაო ველოსიპედის კი — მხოლოდ საგზაო ტიპის ველოსიპედით.

5. ველოსიპედის გაფუჭების შემთხვევაში მონაწილე ვალდებულია გზის ნაპირას გავიდეს.

გზატკეცილზე გადარბენებში, 100 კმ მეტ დისტანციაზე, შეჯიბრების ჩამტარებელი ორგანიზაცია ვალდებულია მოაწყოს ერთი ან რამდენიმე შემკეთებელი პუნქტი — ყოველგვარი საჭირო ხელსაწყო-იარაღებით. პუნქტი მსაჯთა კოლეგიის მითითებით ეწყობა.

V. შეჯიბრების აღმდგომი, მოწყობილობა და ინვენტარი

§ 40. ტრეკი (ველოდროში)

შეჯიბრებები ტრეკზე ტარდება წრიულად, სპეციალურად გაკეთებულ გზაზე მაგარი საფარით. თითოეული ტრეკი რეგისტრაციაში უნდა იყოს გატარებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტში.

ტრეკის რეგისტრაციისათვის საჭიროა წარმოდგენილ იქნას: ტრეკის გეგმა გზის სიგრძისა და სივანის აღნიშვნით, საანგარიშო სისწრაფე ლიდერს უკან მსვლელობისათვის, ვირაჟების გრადუსები, რით არის დაფარული გზა, აგების თარიღი, ტრიბუნების ტევადობა, ტრეკის მისამართი, ვის ეკუთვნის ტრეკი.

მიღება ხდება სპეციალური კომისიის მიერ, რომელსაც გამოყოფს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი. კომისია შეადგენს ტრეკის დათვალიერების აქტს ტრეკის თავისებურებათა აღნიშვნით და განსაზღვრავს, თუ როგორი შეჯიბრებების ჩატარება შეიძლება მოცემულ ტრეკზე. სრულიად საკავშირო კომიტეტის ნებართვის გარეშე ახლად გახსნილ ტრეკზე შეჯიბრებათა ჩატარება არ შეიძლება.

§ 41. დისტანციების ამორჩევა და გამიჯვნა გზატკეცილზე და კროსში

გზატკეცილზე და ველოკროსებში შეჯიბრებათა ჩასატარებლად წინასწარ აირჩევა მარშრუტი, რომელიც დათვალიერებულ უნდა იქნას მსაჯთა კოლეგიის მიერ შეჯიბრებამდე არა უგვიანეს ორი დღისა. დისტანციის დეფექტებზე (შემოსავლები ადგილები, ცუდი გზა, მუშაობის წარმოება გზატკეცილზე) დგება აქტი.

სტარტის, ფინიშის და მოსახვევების ადგილები გზატკეცილზე აღინიშნება პლაკატით, ფართო ან ალმით. ველოკროსის დისტანციაზე ახდენენ გზის სათანადო აღნიშვნებს ან აყენებენ კონტროლიორებს, რომელნიც უჭვენებენ გზას.

შემოსავლები ადგილები, გზის სახიფათო მონაკვეთები, აგრეთვე ის ადგილები, სადაც გზის შეკეთება მიმდინარეობს, აღინიშნება გამაფრთხილებელი ნიშნებით.

აღმართზე, გზატკეცილზე გადარბენის ფინიშისათვის ადგილი, მიიჩნევა შესაძლებლობის ფარგლებში; ფინიშის უბანზე გზის სიგანე უნდა იყოს არა ნაკლებ 4 მეტრისა. გადარბენის ფინიშის ჩატარება დაუშვებელია გზატკეცილის იმ უბანზე, სადაც ავტოტრანსპორტის დიდი მოძრაობაა, დაუშვებელია აგრეთვე ტრამვაისა და რკინიგზის გადასასვლელებს ახლოს, დაღმართზე, მოსახვევებზე.

გზატკეცილზე ფინიშის ხაზი აღინიშნება გზის განივ 55 სმ სიგანის თეთრი ზოლით და თეთრი ალმით გზის მარჯვენა მხარეზე. ფინიშის ადგილი ბაგირებით შემოიფარგლება 20 მ ფინიშის ხაზის ორთავე მხარეზე და გზის ორივე მხრიდან.

ადგილი ველოკროსის სტარტისათვის (საერთო სტარტით) უნდა იყოს ღია და განიერ მინდორზე იმ მიზნით, რათა თავისუფლად მოთავსდეს გადამრბენთა სტარტი. პირველ 500 – 1000 მ ფართო შესაძლებლობანი უნდა ჰქონდეს გადამრბენთა მანევრირებისათვის. შემდეგ კი უნდა იყოს არასავალი აღმართი გადამრბენთა განსალაგებლად. კროსში უნდა შედიოდეს ძნელი, მაგრამ მსგელელობისათვის არა საშიში ადგილები. ქალებისათვის კროსი შემსუბუქებული უნდა იქნას.

კროსში ცალკეული სტარტი მხოლოდ მაშინ დაიშვება, როდესაც არ არის საერთო სტარტისათვის საჭირო ადგილი.

§ 42. ტრეკების გაზომვა და დისტანციების აღნიშვნა

ტრეკის მთელ გზაზე წაუშლელი საღებავით ავლებენ სამ ხაზს:

ა) პირველი — საზომი, სიგანით 8 სმ, 30 სმ მანძილზე ტრეკის შიგნითა ნაპირიდან.

ბ) მეორე — სიგანით 6 სმ, 70 სმ მანძილზე პირველი ხაზის შიდა ნაპირიდან ან 1 მ ტრეკის შიდა ნაპირიდან;

გ) მესამე — სიგანით 5 სმ, პირველი ხაზის შიდა ნაპირიდან 1 მ და 70 სმ-ზე ან 2 მ ტრეკის შიდა ნაპირიდან.

თუ ტრეკის შიგნითა მხარეზე აქვს ნეიტრალური გზა, იგი ტრეკის გაზომვის დროს ანგარიშში არ მიიღება.

ნეიტრალურ გზას კაშკაშა საღებავით ღებავენ.

ტრეკის გაზომვა და დისტანციების დანიშვნა ხდება ლითონის ხვეულათი, რომელიც გაზომვის დაწყების წინ გულდასმით შემოწმდება (ხომ არ არის მასზე შენაკავშირები ადგილები, ნასკდომები, გალუნჯულობა).

აზომვას აწარმოებენ საზომი ხაზის შიგნითა მხრიდან, ორივე მიმართულებით. ორთავე გაზომვის საშუალო სიგრძე შეადგენს ტრეკის გზის ოფიციალურ სიგრძეს.

ტრეკის აზომვის შესახებ ღგება სათანადო აქტი.

ტრეკის გზის ყოველგვარ ცვლილებების შესახებ (გადაკეთება, გზის სიგრძის შეცვლა, ვირაჟების აწევა თუ დაწევა) დაუყოვნებლივ ეცნობება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტს.

ტრეკის აზომვის შემდეგ დასახევენ ტიპიური დისტანციების სტარტებს: 200, 500 და 1000 მ, 2, 3, 4, 5, 10, 15, 20, 25, 30, 40, 50, 80, და 100 კმ. დისტანციების აღნიშვნა ხდება წაწმლელი საღებავით; ტრეკის გარეთა ნაპირიდან ავლებენ 4 სმ სიგანისა და 2 მ სიგრძის ხაზებს.

ასეთივე განივი ზოლი გაყავთ პირველ საზომ და მეორე საკონტროლო ხაზებს შორის. სტარტის ხაზის ქვეშ აღინიშნება მოცემული დისტანციის წრეებისა და მეტრების რაოდენობა.

საზომი ხაზი დაინიშნება ყოველ 10 მეტრზე გადამრბენთა მოძრაობის მიმართულების საწინააღმდეგო მიმართულებით.

ფინიშის ხაზი წესდება არა უახლოეს 10 მ ვირაჟზე შესავალიდან და მკაფიოდ აღინიშნება გზაზე; ხაზს აგრძელებენ 1 მ სიმაღლეზე ტრეკის გარეთა მხრიდან შემომფარგვლელ მოაჯირზე.


ფინიშის ხაზი თეთრი ფერისაა, სიგანით 5 სმ, ორივე მხარეზე შემოვლებული აქვს 2 სმ სიგანის შავი ზოლი.

გზატყეცილზე დისტანცია განისაზღვრება საგზაო ბოძების მიხედვით. არასრული კილომეტრის მონაკვეთები იზომება ლითონის ხვეულათი. გზაზე საგზაო ბოძების არ არსებობის შემთხვევაში ველოსიპედის აღმრიცხველით დისტანცია ორჯერ გაიზომება გზის აქეთა და იქითა მიმართულებით. ასევე იზომება დისტანციები ველოკროსებისათვის.

§ 43. ველოსიპედები და მოტოციკლები ლიდერებისათვის

1. შეჯიბრებებში დაშვებულია ჩვეულებრივი ტიპის ველოსიპედები. ნებადართულია სიჩქარის გადამრთველები, თავისუფალი სვლა.

2. ველოსიპედები არ უნდა აღემატებოდნენ სიგრძით 2 მ და სიგანით 75 სმ.



3. ცნება „საგზაო ველოსიპედის“ განსაზღვრის დროს დაკუთლებული უნდა იქნას შემდეგი პირობები:

- ა) საგზაო ტიპის ჩარჩო ყოველნაირი ფორმის;
- ბ) თვლებს, მიუხედავად თავიანთი დიამეტრისა, უნდა ჰქონდეთ 1,5 დიუმი და მეტი სიგანე;
- გ) საჭე ნებისმიერი უნდა იყოს;
- დ) საჯდომი უნდა იყოს მხოლოდ საგზაო ტიპის, სპორტული ზამბარით;

ე) უკანა მასრა უნდა იყოს სამუხრუჭე, დაიშვება ყოველგვარი ფორმის.

ვ) სატერფული დაიშვება ყოველგვარი კონსტრუქციის, ტუკლიპსები დაუშვებელია.

ზ) თვლების ფარები, საბარგე, ზარი, მონაწილის სურვილისამებრ შეიძლება მოხსნილ იქნას.

გარდა ამისა ეს მანქანები უნდა შეესაბამებოდნენ შემდეგ ზომებს:

ა) მანძილი დგომთამწეს ლერძსა და დედამიწის ზედაპირს შორის უნდა იყოს მინიმუმი 24 სმ და მაქსიმუმი 30 სმ;

ბ) მანძილი დგომთამწეს ლერძსა და წინა თვლის ლერძში (BB) გამავალ ვერტიკალებს შორის უნდა იყოს მინიმუმი 58 სმ, მაქსიმუმი 75 სმ;

გ) მანძილი საჯდომის ლითონის ბოლოსა და დგომთამწეს ლერძში (AB) გამავალ ვერტიკალებს შორის უნდა იყოს არა უმეტესი 12 სმ;

დ) მანძილი დგომთამწეს ლერძსა და უკანა თვლის ლერძში (TB) გამავალ ვერტიკალებს შორის უნდა იყოს არა უმეტესი 55 სმ.

ობტეკატელებით მომარაგებული ველოსიპედები, აგრეთვე, არასტანდარტული ფორმის ველოსიპედები მხოლოდ სპეციალურ შეჯიბრებებში დაიშვება.

4. გზატკეცილზე და კროსში შეჯიბრებებისათვის გადასარბენ ველოსიპედს, რომელიც მომარაგებულია თავისუფალი სვლის კბილანით, ორივე თვალზე უნდა ჰქონდეს ორი მუხრუჭი. ველოსიპედი არა თავისუფალი სვლით დაიშვება შეჯიბრებაზე, თუ აქვს ერთი მუხრუჭი (უკანა).

5. სტარტერი გადარბენის დაწყების წინ ამოწმებს მუხრუჭების მოქმედებას.

თუ მუხრუჭები არაწესიერ მდგომარეობაშია, მონაწილე შეჯიბრებაზე არ დაიშვება.

6. ტრეკზე შეჯიბრებებში თავისუფალსვლიანი და მუხრუჭებიანი სავადასარბენო ველოსიპედების გამოყენება დაუშვებელია, გარდა სპეციალურად მოწყობილი შემოვლებისა.

შეჯიბრების მონაწილეთათვის ტრეკზე საგზაო ველოსიპედზე ეწყობა დამოუკიდებელი შემოვლები.

7. სპეციალური ტიპის მოტოციკლების უკან ველოსიპედი სალიდერო გადარბენისათვის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნილებებს:

ა) ორივე სალტე, გარდა ფერსოზე ჩვეულებრივად მიწებებულისა, ფერსოსთან შეერთებული უნდა იყოს ტილოთი, რომელიც მკვრივად უნდა ეკვრებოდეს სახურავის ფერდებს და ეწებებოდეს ფერსოს;

ბ) წინა თვლის დიამეტრი არ შეიძლება იყოს 60 სმ ნაკლები;

გ) მანძილი დგიმთამწეს ღერძის ცენტრიდან წინა თვლის ღერძის ცენტრამდე უნდა იყოს არა ნაკლებ 55 სმ;

დ) ჩვეულებრივი საგადასარბენო ნიმუშის საჯდომის სიგრძე უნდა იყოს მინიმუმი 25 სმ; მისი წინა ნაპირი არ უნდა სცილდებოდეს დგიმთამწეს ღერძში გამავალ ვერტიკალს.

სალიდერო გადარბენებში საგზაო ტიპის მოტოციკლის უკან გამოყენებული უნდა იყოს ველოსიპედი, რომელსაც არ უნდა ჰქონდეს შეუმცირებელი წინა თვალი და გადაუბრუნებელი წინა ჩანგალი (ჩქიფი) შიგნითა მხრისაკენ.

ველოსიპედების გადაცემები ნებისმიერია.

სატრეკო ველოსიპედის საჭის სახელურები ისეთია, რომ ხურავენ მიღების მახვილ ბოლოებს, ან ეს უკანასკნელნი გამოიტენებიან ხის საცობებით, რომელნიც 0,5 სმ გამოდის გარეთ.

8. სალიდეროდ დაიშვება მხოლოდ ორთვალი, ნებისმიერი სიმძლავრის მოტოციკლები. სალიდერო მოტოციკლები იყოფა ორ კატეგორიად: სპეციალური და საგზაო ტიპის.

სპეციალური სალიდერო მოტოციკლი ეწოდება ორცილინდრიან მოტოციკლს, რომელიც კონსტრუირებულია სპეციალურად სალიდერო გადარბენებისათვის.

სალიდერო მოტოციკლის დახასიათება: სიმაღლე გზის ზევით — 1 მ 20 სმ, სიგრძე — არა უმეტეს 2 მ 80 სმ, სიგანე — 40 სმ. მოქნევა საფეხურებიანად — არა უმეტეს 65 სმ,

საჯდომი ჩვეულებრივი ტიპის: სიგრძე — 35 სმ, სიგანე — 35 სმ. აკრძალულია რაიმე დამატებითი ბალიშების დადება. საჯდომის უკანა ნაწილი არ უნდა გამოდიოდეს უკანა თელის ღერძში გამავალი ვერტიკალის გარეთ.

საფეხურების ზომა განისაზღვრება: სიგანე — 40 მმ. სისქე — 10 მმ და სიგრძე — 105 მმ. საჭე — (სახელურებში) 75 სმ. ორივე სახელური თანაბარ სიმაღლეზე უნდა იმყოფებოდეს და მოტორისტს შესაძლებლობას აძლევდეს თავისუფლად აბრუნოს მარჯვნივ და მარცხნივ. უკანა სალტის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 700×100 მმ. მოტოციკლების გადაცემა ნებისმიერია (ჯაჭვი, ღვედი, კარდანი).

ღვედური გადაცემის დროს ბორბლის შკივი არ უნდა იყოს 105 მმ-ზე განიერი, მისი დიამეტრი კი — არა უმეტესი 50 სმ, ღვედი — სიგანით არა უმეტეს 10 სმ.

გორგოლაჰს, სიგანით არა უმეტეს 60 სმ, აყენებენ 95 სმ დაშორებით მოტოციკლის უკანა ბორბლის ღერძის ცენტრიდან, 30 — 35 სმ სიმაღლეზე გზის ზედაპირიდან (სალიდერო ველოსიპედის წინა ბორბლის სიდიადის მიხედვით). მუხრუჭი სავალდებულოა. უკანა ფარები აკრძალულია.

სალიდერო გადარბენებში საგზაო მოტოციკლად ითვლება საბჭოთა მარკის სტანდარტული ერთცილინდრიანი მოტოციკლი, რომელსაც არა აქვს სპეციალური მოწყობილობა. გორგოლაჰს, სიგანით არა უმეტეს 60 სმ, აყენებენ 40 სმ დაშორებით უკანა ბორბლის ღერძის ცენტრიდან, გზიდან 35 სმ სიმაღლეზე.

აკრძალულია: საჯდომის უკან გადაადგილება, უკანა ბალიშებით სარგებლობა, განსაკუთრებული გრძელი საჭეების გამოყენება, უკანა ფარების გადიდება და ლიდერის ფეხებს წინ მოთავსებული გვერდითი ფარებით (ღვეშვილებით) სარგებლობა.

კროსში, სრულიად საკავშირო შეჯიბრების ველოგადარბენებზე, საგზაო ველოსიპედებით შეიძლება დაშვებულ იქნას ის ველოსიპედისტები, რომელთაც აქვთ საგზაო ტიპის ველოსიპედი.



დანართი 1

დანართი

_____ არსებული ფიზიკური კულ-
ტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი

მონაწილის ბარათი № _____ კაცები
ქალები

შეჯიბრებანი _____ ველოსიპედურ სპორტში

_____ (სახელი, მამის სახელი, გვარი)

_____ (რესპუბლიკა, ქალაქი) _____ (სახოგადოება)

გზატკეცილი _____ კმ

ქროსი _____

ფინიშის დრო _____

სტარტის დრო _____

შედეგი _____ ადგილი

მ დ ი ვ ა ნ ი _____

არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი

მონაწილის პირადი ბარათი № _____

კაცები
ქალები

შეჯიბრებებში _____ ველოსიპედურ სპორტში

	დისტანცია	დრო	ადგილი
გვარი	გადარბენა 1 კმ		
სახელი	500 მ სელიდან		
მამის სახელი	500 მ ადგილიდან		
დაბადების წელი	1000 მ ადგილიდან		
სპორტული წოდება, თანრიგი	გადარბენა გამო- დევნებით		
ქალაქი	გაწვეილებული გადარბენა		
ორგანიზაცია	გადარბენა ლი- დერს უკან		



დისტანციები	წამმზომების ჩვენებები		
	I	II	III
500 მ სულიდან			
500 მ ადგილიდან			
1000 მ ადგილიდან			

მიღვანი _____

დანართი 3

არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი

რ მ მ ი _____ კაცები
ქალები

შეჯიბრებისა ველოსიკლედურ სპორტში გზატკეცილზე

შეჯიბრების ადგილი _____ დისტანცია _____

სტარტი _____ 195 წ „ „ _____

ჰაერის ტემპერატურა _____ ამინდი _____ ქარი _____

(გაგრძელება იხ. 51-ე გვერდზე)



არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკმეთა კომიტეტი

გ უ ნ დ ი ს ბ ა რ ა თ ი

(რესპუბლიკა, ოლქი, მხარე, ქალაქი)

195-წლის შეჯიბრებებზე ველოსიკედურ სპორტში

№	როგე	კ ა ც ე ბ ი				ქ ა ლ ე ბ ი			
		გზატკე-		კროსი	გზატკე-		კროსი		
		ცილი	100 კმ	30 კმ	ცილი	25 კმ	10 კმ		
		დრო	აღგე-	დრო	აღგე-	დრო	აღგე-		
		წუთი	წუთი	წუთი	წუთი	წუთი	წუთი		
	გვარი, ინიციალები								
	ქულათა რაოდენობა								
	სულ ქულები								
	საერთო აღგილი								

მდივანი _____

არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი

ქ ქ მ ი
ველოსიპედურ სპორტში შეჯიბრებებისა

ქალ. _____ არსებულ

ტ რ ე კ ზ ე

195 _____ წ. " _____ " დისტანცია _____

წყმ	აყრ	წყმ	აყრ	წყმ	აყრ	წყმ	აყრ	წყმ	აყრ	წყმ	აყრ	წყმ	აყრ	წყმ	აყრ

მთავარი მსაჯი _____ მდივანი _____
უფროსი წამმზომელი _____

დამტკიცებულია

ბრძანებით № _____
195 _____ წლის " _____ " _____ დან

ა ქ ტ ი ¹

ახალი სრულიად საკავშირო რეკორდის რეგისტრაციისა

1. დამყარების დრო _____
(წელი, თვე, რიცხვი, საათი)

2. რომელ შეჯიბრებებში _____
(დასახელება და მასშტაბი)

3. შეჯიბრების ჩატარების ადგილი _____
(ქალაქი, სტადიონი, აუზი, ტრეკი, გზატკეცილი და ა. შ.)

4. შეჯიბრების რომელ სახეობაში და დისტანცია _____

5. ვინ დაამყარა:
ა) სახელი _____ აღმსახელი _____ გვარი _____
ბ) დაბადების თარიღი (წელი, თვე, რიცხვი ² _____
გ) წოდება, სპორტული თანრიგით _____
დ) წონა _____
(საწონავ კატეგორიებისათვის)

ე) პარტიულობა _____ ზ) ეროვნება _____
თ) რომელი ფიზკულტურული ორგანიზაციიდანაა _____
ი) ბინის მისამართი _____

¹ რეკორდის რეგისტრაციის აქტი აუცილებლად სასტამბო წესით უნდა იყოს დამზადებული.

² კაბუკებსა და ქალიშვილებზე წარდგენილ უნდა იქნეს ნოტარიალურად დამოწმებული დაბადების მოწმობის ასლი.

შენი შვნა: თუ რეკორდი დამყარებულია გუნდის მიერ, მაშინ აქტს უნდა დაერთოს მონაწილეთა სია ამ პუნქტის მონაცემებით, ხოლო სროლაში შეჯიბრებების შემთხვევაში კი, ამას გარდა, მონაცემებიც სამიზნოს შესახებ.

6. რეკორდი დამყარებულია _____

(აღნიშნოს ავტომობილის, მოტოციკლის, სკუტერის და ა. შ. მარკა

კლასი, იარაღის სისტემა, ცხენის სახელწოდება და სხვ.)

7. შედეგი _____
(სიტყვებით)

8. ვის მიერ და როდის იქნა შემოწმებული საზომი ხელსაწყოები — წამსაზომეები, სასწორი, ხვეულა და სხვ. იხ. სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის საინსტრუქციო წერილი 1940 წლის 28 მაისი _____

9. წამმზომების მონაცემები:

1. _____ წამმზომის № _____ წამმზომელის გვარი _____

2. _____ " _____ " _____

3. _____ " _____ " _____

4. _____ საკონტროლო (შეივსება იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი სავალდებულოთაგანი არაწესიერ მდგომარეობაშია).

5. _____ მობრუნების დრო ანუ დრო 1-ლი ბოლოს ფინიშსა და მე-2 ბოლოს სტარტს შორის _____

(სადაც საჭიროა)

შენი შვნა: როდესაც შეჯიბრება ტარდება ავტო-მოტო და წყალ-მოტორულ სპორტში 1 და 5კმ მანძილზე, საჭიროა აღნიშნულ იქნას თითოეული წამმზომის მონაცემები ცალკეულად ყოველი ბოლოს შესახებ.

უფროსი წამმზომელი _____

(ხელის მოწერა)

10. წყლის, ამინდის (ტემპერატურა, ქარის ძალა და მიმართულება) მდგომარეობა _____

11. სარბენი გზის, აუზის, ტრეკის და სხვა ზომები _____

12. მერამდენე ცდაზე იქნა დამყარებული რეკორდი _____

13. რეკორდის დამყარების შესახებ ტელეგრაფით ან ტელეფონით გადაცემული ცნობის თარიღი _____

14. შეჯიბრება ჩატარებულ იქნა სსრ კავშირის მინისტრთა აბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის წესების თანახმად, რომელნიც გამოცემულია 19 _____ წლის _____

წინანდელი რეკორდი ეკუთვნოდა _____

უდრიდა _____ და დამყარებული იქნა (თარიღი) _____

მთავარი მსაჯი _____

სტარტიორი, ფიქსატორი _____

უფროსი მსაჯი სახეობის მიხედვით _____

მ დ ი ვ ა ნ ი _____

ქალ _____ 195 _____ წლის „ _____ “ _____

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტს

ქ. მოსკოვი, სკატერნი 4 ¹

არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი გთხოვთ დაამტკიცოთ ახალი სრულიად საკავშირო რეკორდი თანდართული აქტის თანახმად.

კომიტეტის თავმჯდომარე _____

სახწავლო-სპორტული განყოფილების უფროსი _____

¹ აქტი გაგზავნილ უნდა იქნას რეკორდის დამყარების მომენტიდან არა უგვიანეს ხუთი დღისა.

გადასამართლო კანონის შესახებ



მეოთხედ-ფინალები, ნახევარფინალები და ფინალები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამოდიან 8-ზე ნაკლები გადამრბენები, გათამაშდებიან გაწყვილებულ მატჩებში.

ყველა ქვემოთოყვანილი მითითებები, გარდა ისეთებისა, რომელიც ეხება 1-დან დაწყებული მე-8 გადამრბენამდე (ჩათვლით), მდგომარეობს იმაში, რომ კვალიფიცირებულ იქნას 8 გადამრბენი 4 მეოთხედ-ფინალისათვის 2—2, ორი ნახევარ-ფინალისათვის 2—2 და 1 ფინალისათვის 2—2.

ეს ფინალი 2—2 გაითამაშება ორ შემოვლაში და გადამწყვეტშიც, თუ ეს საჭიროა.

მესამე და მეოთხე ადგილები გათამაშებულ უნდა იქნას ისეთივე წესით, როგორც პირველი ორი ადგილი.

თავისუფალი გადამრბენები, რომელნიც ინიშნებიან დამამშვიდებელ შემოვლებში, ძირითადადში ისინი არიან, რომელნიც უძლიერესებად ითვლებიან.

მონაწილეთა განლაგების ხერხები მათი კაოდენობის მიხედვით

2 გადამრბენი

ფინალი 2—2.

3 გადამრბენი

1 გადამრბენი თავისუფალია.

1 მატჩი 2—2.

დამამშვიდებელი წაგებულისა თავისუფალთან.

1 ფინალი 2—2.

4 გადამრბენი

2 ნახევარფინალი 2—2.

1 ფინალი 2—2.

5 გადამრბენი



- 1 თავისუფალია.
- 2 მატჩი 2—2.
- 1 დამამშვიდებელი 3—3 თავისუფალთან, კვალიფიცირდება პირველი 2.
- ნახევარფინალი 2—2.
- 1 ფინალი 2—2.

6 გადამრბენი

- 2 მატჩი 2—2.
- დამამშვიდებელი 3—3.
- 2 ნახევარფინალი 2—2.
- 1 ფინალი 2—2.

7 გადამრბენი

- 1 თავისუფალია.
- 3 მატჩი 2—2.
- 2 დამამშვიდებელი 2—2 თავისუფალთან.
- დამამშვიდებელის ფინალი 2—2.
- 2 ნახევარფინალი 2—2.
- 1 ფინალი 2—2.

8 გადამრბენი

- 4 მეოთხედ-ფინალი 2—2.
- 2 ნახევარფინალი 2—2.
- 1 ფინალი 2—2.

გადამრბენთა ამ რაოდენობიდან დაწყებული, ქვემოთ მოყვანილი მითითებები მიზნად ისახავს 8 გადამრბენის კვალიფიცირებას შემდეგი გათამაშებისათვის: 4 მეოთხედ-ფინალის 2—2, ორი ნახევარფინალის 2—2 და ერთი ფინალის 2—2.

9 გადამრბენი

- 3 წინასწარი 3—3, კვალიფიცირდება პირველი 2.
- 1 დამამშვიდებელი 3—3, კვალიფიცირდება პირველი 2.

10 გადამრბენი

- 5 წინასწარი 2—2.
დამამშვიდებელი 3—3, კვალიფიცირდება პირველი 2

11 გადამრბენი

- 4 წინასწარი 2—2.
1 წინასწარი 3—3.
3 დამამშვიდებელი 2—2.

12 გადამრბენი

- 6 წინასწარი 2—2.
2 დამამშვიდებელი 3—3.

13 გადამრბენი

- 6 წინასწარი 2—2.
1 წინასწარი 3—3.
1 დამამშვიდებელი 3—3.
2 დამამშვიდებელი 2—2.
დამამშვიდებლების ფინალი 3—3, კვალიფიცირდება
პირველი 2.

14 გადამრბენი

- 7 წინასწარი 2—2.
2 დამამშვიდებელი 2—2.
1 დამამშვიდებელი 3—3.
2 ფინალი დამამშვიდებლების 3—3.

15 გადამრბენი

- 6 წინასწარი 2—2.
1 წინასწარი 3—3.
4 დამამშვიდებელი 2—2.
2 ნახევარფინალი დამამშვიდებლების 2—2
1 ფინალი დამამშვიდებლების 2—2.

16 გადამრბენი

- 4 წინასწარი 2—2.



2 წინასწარი 2—2.
5 დამამუშავებელი 2—2.
დამამუშავებლების ფინალი 5—5, კვალიფიცირდება
პირველი 2.

17 გადამრბენი

5 წინასწარი 3—3.
1 წინასწარი 2—2.
4 დამამუშავებელი 2—2.
1 დამამუშავებელი 3—3.
დამამუშავებლების ფინალი 5—5, კვალიფიცირდება
პირველი 2.

18 გადამრბენი

6 წინასწარი 3—3.
4 დამამუშავებელი 3—3.
დამამუშავებლების ფინალი 4—4, კვალიფიცირდება
პირველი 2.

19 გადამრბენი



5 წინასწარი 3—3.
2 წინასწარი 2—2.
4 დამამუშავებელი 3—3.
დამამუშავებლების ფინალი 4—4.

20 გადამრბენი

10 წინასწარი 2—2.
2 დამამუშავებელი 3—3, კვალიფიცირდება პირველი 2.
2 დამამუშავებელი 2—2.
8 მერვედი—ფინალი 2—2.

21 გადამრბენი

9 წინასწარი 2—2.
1 წინასწარი 3—3.

- 
- 
- 4 დამამშვიდებელი 2—2.
დამამშვიდებელი 3—3, კვალიფიცირდება პირველი
მერვედი ფინალი 2—2.

22 გადამრბენი

- 11 წინასწარი 2—2.
4 დამამშვიდებელი 2—2.
1 დამამშვიდებელი 3—3.
8 მერვედ—ფინალი 2—2.

23 გადამრბენი

- 10 წინასწარი 2—2.
1 წინასწარი 3—3.
2 დამამშვიდებელი 3—3.
3 დამამშვიდებელი 2—2.
8 მერვედ—ფინალი 2—2.

24 გადამრბენი

- 12 წინასწარი 2—2.
4 დამამშვიდებელი 3—3.
8 მერვედ—ფინალი 2—2.

25 გადამრბენი

- 7 წინასწარი 3—3.
2 წინასწარი 2—2.
5 დამამშვიდებელი 2—2.
2 დამამშვიდებელი 3—3.
მერვედები ფინალებისა და ა. შ.

26 გადამრბენი

- 8 წინასწარი 3—3.
1 წინასწარი 2—3.
4 დამამშვიდებელი 2—2.
3 დამამშვიდებელი 3—3.
მერვედები ფინალებისა და ა. შ.

27 გადამრბენი

- 9 წინასწარი 3—3.
3 დამამშვიდებელი 3—3.
დამამშვიდებელი 3—3.
მერვედები ფინალებისა და ა. შ.

28 გადამრბენი

- 8 წინასწარი 3—3.
2 წინასწარი 2—2.
6 დამამშვიდებელი 3—3.
მერვედი ფინალებისა და ა. შ.

29 გადამრბენი

- 9 წინასწარი 3—3.
1 წინასწარი 2—2.
5 წინასწარი დამამშვიდებელი 2—2.
1 დამამშვიდებელი 5—5, კვალიფიცირდება პირველი 3.
1 დამამშვიდებელი 3—3.
1 დამამშვიდებელი 2—2.
მერვედები ფინალისა და ა. შ.

30 გადამრბენი

- 10 წინასწარი 3—3.
წინასწარი დამამშვიდებელი:
6 სერია 3—3.
1 სერია 2—2.
2 ნახევარფინალი დამამშვიდებელი 2—2 (კვალიფიცირ-
დებიან პირველი 2).
1 ნახევარფინალი დამამშვიდებელი 3—3. უკანასკნელი
გაითამაშება მხოლოდ და მხოლოდ პირველი ორის გამოსა-
ვლენად, რამდენადაც დანარჩენები უკვე კვალიფიცირებულ-
ნი არიან.

მერვედები ფინალისა და ა. შ.

31 გადამრბენი



- 9 წინასწარი 3—3.
- 2 წინასწარი 2—2.
- 5 დამამუშვილებელი 2—2.
- მერველები ფინალისა და ა. შ.

32 გადამრბენი

- 8 წინასწარი 3—3.
- 4 წინასწარი 2—2.
- 10 წინასწარი 2—2.
- დამამუშვილებელი:
- 4 წინასწარი 3—3.
- 4 წინასწარი 2—2.
- 4 დამამუშვილებელი 2—2.
- მერველები ფინალისა და ა. შ.

33 გადამრბენი

- 11 წინასწარი 3—3.
- დამამუშვილებელი:
- 2 წინასწარი 3—3, კვალიფიცირდება პირველი 2.
- 2 წინასწარი 2—2, კვალიფიცირდება პირველი.
- მერველები ფინალისა და ა. შ.

34 გადამრბენი

- 10 წინასწარი 3—3.
- 2 წინასწარი 2—2.
- დამამუშვილებელი:
- 11 წინასწარი 2—2.
- 3 დამამუშვილებელი 3—3.
- 1 დამამუშვილებელი 2—2.
- მერველები ფინალისა და ა. შ.

35 გადამრბენი

- 11 წინასწარი 3—3.
- 1 წინასწარი 2—2.



დამამუშვიდებელი:

- 10 წინასწარი 2—2.
- 1 წინასწარი 3—3.
- 3 დამამუშვიდებელი 3—3.
- 1 დამამუშვიდებელი 2—2.
- მერვედები ფინალისა და ა. შ.

36 გადამრბენი

- 12 წინასწარი 3—3.
- დამამუშვიდებელი:
- 8 წინასწარი 3—3.
- 4 დამამუშვიდებელი 2—2.
- მერვედები ფინალისა და ა. შ.

37 გადამრბენი

- 11 წინასწარი 3—3.
- 2 წინასწარი 2—2.
- დამამუშვიდებელი:
- 8 წინასწარი 3—3.
- 2 დამამუშვიდებელი 3—3.
- 1 დამამუშვიდებელი 2—2.
- მერვედები ფინალისა და ა. შ.

38 გადამრბენი

- 12 წინასწარი 3—3.
- 1 წინასწარი 2—2.
- დამამუშვიდებელი:
- 7 წინასწარი 3—3.
- 2 წინასწარი 2—2.
- 3 დამამუშვიდებელი 3—3.
- მერვედები ფინალისა და ა. შ.

39 გადამრბენი

- 13 წინასწარი 3—3.
- დამამუშვიდებელი:
- 8 წინასწარი 3—3.

1 წინასწარი 2—2.

3 დამამშვიდებელი 3—3.

მერვედები ფინალებისა და ა. შ.



40 გადამრბენი

12 წინასწარი 3—3.

2 წინასწარი 2—2.

დამამშვიდებელი:

8 წინასწარი 3—3.

1 წინასწარი 2—2.

3 წინასწარი 3—3.

1 დამამშვიდებელი 3—3, კვალიფიცირდება პირველი 2 მერვედები ფინალებისა და ა. შ.

სალიდერო შემოვლებში მსაჯებს უფლება აქვთ გასცენ განკარგულება იმ გადამრბენის მოხსნის შესახებ, რომელიც არ იჩენს მაქსიმალურ დაძაბულობას თავისი პირადი მიღწევის დასაცავად და ტრეკზე თავის ყოფნას განსაზღვრავს სპეციალურად იმით, რომ რომდენიმე გადამრბენთაგან ერთ-ერთი აიძულოს ისე, რომ გაუსწროს მას.

ეს განკარგულება გამოიხატება შემდეგნაირად: მწვანე ალმით — გაფრთხილება, წითელი ალმით — ჩამოხტი!



შ ი ნ ა ა რ ს ი

I.	შეჯიბრებათა სახეობანი, დისტანციებში და ხასიათი	83
§ 1.	შეჯიბრებათა სახეობანი	3
§ 2.	შეჯიბრებათა დისტანციები	4
§ 3.	შეჯიბრებათა ხასიათი	5
II.	შეჯიბრებათა მონაწილენი	
§ 4.	მონაწილეთა ასაკი	6
§ 5.	თანრიგები	6
§ 6.	მონაწილეთა უფლება-მოვალეობანი	7
§ 7.	მონაწილეთა ტანისამოსი, ფეხსაცმელი და მოწყობილობა	7
§ 8.	მოთხოვნები მონაწილეების მიმართ და განაწილება შემოვლების მიხედვით	9
§ 9.	წარმომადგენლები და გუნდისთავეები	10
III.	მსაჯთა კოლეგია	
§ 10.	მსაჯთა კოლეგიის შემადგენლობა	11
§ 11.	მთავარი მსაჯი	12
§ 12.	მთავარი მსაჯის მოადგილე	13
§ 13.	მსაჯები ფინიშზე	13
§ 14.	მდივანი	13
§ 15.	სტარტიორი და სტარტიორის თანაშემწე	14
§ 16.	უფროსი მსაჯი - წამმზომელი	14
§ 17.	მსაჯი - წამმზომლები	15
§ 18.	მსაჯი - წრეების აღმრიცხველი	15
§ 19.	დისტანციის უფროსი	15
§ 20.	მსაჯი - კონტროლიორები	16
§ 21.	მსაჯები-მოსახვევებში	16



§ 22. მსაჯი - ინფორმატორი	17
§ 23. მსაჯფარეში	17
§ 24. ტექნიკური კომისია	17
§ 25. კომენდანტი	17
§ 26. ექიმი და სამედიცინო მომსახურება	18

IV. შეჯიბრებათა წესები ტრეკზე და გზატკეცილზე

შეჯიბრებანი ტრეკზე

§ 27. სტარტი	18
§ 28. ტრეკზე მსვლელობის წესები	24
§ 29. ფინიში	28
§ 30. გამარჯვებულთა განსაზღვრა ტრეკზე გადარბენებში	29

შეჯიბრებები გზატკეცილზე

§ 31. სტარტი	32
§ 32. გზატკეცილზე მსვლელობის წესები	32
§ 33. ფინიში	34
§ 34. გზატკეცილზე გადარბენებსა და ველოკროსებში გამარჯვებულთა განსაზღვრა	34
§ 35. გზაში კვება	36
§ 36. თანმზღები ტრანსპორტი	36
§ 37. რეკორდებისა და მიღწევების რეგისტრაცია	37
§ 38. პროტესტები	39
§ 39. ველოსიპედის გამოცვლა და შეკეთება	40

V. შეჯიბრების აღვილი, მოწყობილობა და ინვენტარი

§ 40. ტრეკი (ველოდრომი)	41
§ 41. დისტანციების ამორჩევა და დანიშვნა გზატკეცილზე და კროსში	41
§ 42. ტრეკების გაზომვა და დისტანციების აღნიშვნა	42
§ 43. ველოსიპედები და მოტოციკლები ლიდერებისათვის	44

დანართები

დანართი 1. მონაწილის ბარათი	48
დანართი 2. მონაწილის პირადი ბარათი	49



დანართი 3. შეჯიბრების ოქმი	50
დანართი 4. გუნდის ბარათი	52
დანართი 5. ტრეკზე შეჯიბრების ოქმი	53
დანართი 6. ახალი სრულიად საკავშირო რეკორდის რეგისტრაციის აქტი	54
დანართი 7. გადარბენაში კენჭისყრის შესახებ	57

რედაქტორი — ბ. დარსაძე
 ტექრედაქტორი — შ. დოლიძე
 კორექტორი — ვ. ყღნტი
 კონტროლიორ-კორექტორი — თ. მახარაძე
 გამომშვები — შ. ნადირაძე

გადაეცა წარმოებას 4|I-52 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22|IV-52 წ. ანაწი-
 ყობის ზომა 5 $\frac{1}{2}$ ×9. ქაღალდის ზომა 54×84 სასტამბო ფორმათა
 რაოდენობა 4,2 ტირაჟი 3000. შეკვეთის № 42. უფ 00970.

საქპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა. თბილისი,
 ორჯონიკიძის ქ., № 50.
 1-ая Типография Грузполиграфиздата. Тбилиси,
 улица Орджоникидзе, № 50.

3360 — 535 5 133

50 სურათი



ВЕЛОСИПЕДНЫЙ СПОРТ
ПРАВИЛА СОРЕВНОВАНИЙ
(на грузинском языке)
Госиздат Грузинской ССР
Тбилиси
1952